ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989-2019 30 YEARS
PENAL REFORM INTERNATIONAL

საყოფაცხოვრებო პირობები პენიტენციურ სისტემაში

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

ავტორი **ნატალია ცაგარელი**

2019

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის
Rehabilitation initiative for vulnerable groups

1989-2019 30 YEARS PENAL REFORM INTERNATIONAL

საყოფაცხოვრებო პირობები პენიტენციურ სისტემაში

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი/კვლევა

ავტორი ***ნატალია ცაგარელი***

წინამდებარე ანგარიში მოამზადა ორგანიზაციამ „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ (ავტორი: ნატალია ცაგარელი). კვლევა ჩატარდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ციხის საერთაშორისო რეფორმის სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ ფარგლებში. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორის, „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ ან მისი პარტნიორი ორგანიზაციების პოზიციის გამომხატველად.

სარჩევი

1. კვლევის მიზანი 3
2. კვლევის ამოცანა 3
3. კვლევის მეთოდოლოგია 3
4. კვლევის შეზღუდვა 4
5. შესავალი 5
6. არსებული გამოწვევები 8
7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი 9
8. სამოქმედო გეგმების ანალიზი 15
9. ძირითადი მიგნებები/რეკომენდაციები 39
10. გეგმის რელევანტურობა 41
11. გეგმების სტრუქტურა 42
12. შესრულების შედეგები 42
13. რეკომენდაციები 43

1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეფასდეს პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესი 2015-2018 წლების განმავლობაში, ასევე, მოკლედ აღიწეროს ამ მიმართულებით არსებულ სამომავლო გეგმები.

2. კვლევის ამოცანა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანაა, შეფასდეს მითითებული წლების განმავლობაში:

- პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით სახელწიფო პოლიტიკის დაგეგმვის კუთხით არსებული დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, ასევე, სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, მათი შემუშავებისა და შესრულების პროცესი;
- შემუშავდეს რეკომენდაციები სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესის გაუმჯობესების მიმართულებით.

3. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის განხორციელდა როგორც სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების (სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების), ასევე საერთაშორისო დონეზე საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეფასება, რომლებიც შეეხება პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებს.

კვლევის ფარგლებში შეფასდა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, აგრეთვე, ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016 წწ და 2017-2020 წწ). გარდა ამისა, გაანალიზდა, რა სახის ვალდებულებები იყო ასახული საქართველოს მიერ შემუავებულ შემდეგი სახის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში:

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2020 წლების ეროვნული სტრატეგია;

ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ; 2018-2020 წწ) სამოქმედო გეგმები (შესაბამისი თავები);

გ) სისხლის სამართლის რეფორმის (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) სტრატეგიები (პენიტენციური სისტემის რეფორმის თავი);

დ) სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო (2015 წ; 2016 წ; 2017 წ; 2018 წ) გეგმები (პენიტენციური სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმის ნაწილი);

ე) პენიტენციური სისტემის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტების შეფასებისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა სამოქმედო გეგმების ანალიზზე. გეგმები შეფასდა შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

- სამოქმედო გეგმების კომპონენტების სტრუქტურა;
- რელევანტურობა;
- შესრულება.

ა) სამოქმედო გეგმების რელევანტურობა

სამოქმედო გეგმების კომპონენტების რელევანტურობის შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- სამაგიდე კვლევა - საყოფაცხოვრებო პირობები პენიტენციურ სისტემაში;[1]
- საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები (2014-2018 წწ), წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2018 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის თაობაზე;
- სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით, შეფასდა რამდენად რელევანტური იყო სამოქმედო გეგმებში ასახული მიზნები, ამოცანები და აქტივობები და რამდენად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში (2015, 2016, 2017, 2018 წწ).

ბ) სამოქმედი გეგმების სტრუქტურა

სამოქმედო გეგმების სტრუქტურა, კერძოდ, ამოცანები და აქტივობები შეფასდა ე.წ. S.M.A.R.T პრინციპით, რაც გულისხმობს რამდენად იყო გეგმაში ასახული კომპონენტები:

- S (Specific) = სპეციფიკური (კონკრეტული, დეტალური, კარგად განსაზღვრული);
- M (Measurable) = გაზომვადი (ციფრები, რაოდენობა);
- A (Achievable) = მიღწევადი (შესაძლებელი);
- R (Realistic) = რეალისტური (რესურსების გათვალისწინებით);
- T (Time-bound) = დროში გაწერილი (უნდა გააჩნდეს შესრულებისთვის განსაზღვრული ვადა, ე.წ. „დედ-ლაინი“).

გეგმებში ასახული ძირითადი ტენდენციები შეფასდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კუთხით.

გ) სამოქმედო გეგმების შესრულება

სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება განხორციელდა შემდეგი წყაროების მიხედვით:

- სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმების (2014-2015 წწ; 2016-2017 წწ) შესრულების ანგარიში;
- სისხლის სამართლის რეფორმოს პროგრესის VII (2015 წ), VIII (2016 წ), IX (2017 წ) ანგარიშები;
- სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ.

---

1 იხ. ბმული: https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/d049be6e7443af68cc487ce889b783a3.pdf

4. კვლევის შეზღუდვა

კვლევის განხორციელების პროცესში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში (სამოქმედო გეგმებში) ასახული აქტივობების (ზოგ შემთხვევაში ამოცანების) შესრულებას. აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებული იქნებოდა როგორც დამხმარე ინსტრუმენტი სამოქმედო გეგმების შესაბამისი პუნქტების შეფასებისთვის. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან არ იქნა მოწოდებული საჯარო ინფორმაცია, რის გამოც ანალიზი განხორციელდა სხვა წყაროების მიხედვით.

5. შესავალი

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებები პენიტენციური სისტემის რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, უმთავრესად გამომდინარეობს როგორც საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებიდან, ასევე საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან. თავად ხელშეკრულება ზოგად ნორმებს ითვალისწინებს და უშუალოდ მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობებზე მასში საუბარი არ არის, ასევე უშუალოდ ამ საკითხს არ ეხება 2014-2016 და 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგის დოკუმენტები, თუმცა ორივე მათგანში საუბარია წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის აღმოფხვრის კუთხით ნაბიჯების გადადგმასა და ამგვარი ფაქტების ეფექტიანი საგამოძიებო მექანიზმის შექმნაზე. ვინაიდან მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები, სხვა გარემოებებთან ერთად, შესაძლოა, ზოგჯერ წამებას, სასტიკ და არაადამიანურ მოპყრობასაც გაუთანაბრდეს, მითითებული ნორმები მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასაც ირიბად მოიაზრებს.[2]

სისხლის სამართლის კუთხით, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები მოცემულია ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიებში. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 13 დეკემბრის №591 ბრძანებულების საფუძველზე, შეიქმნა სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭო უფლებამოსილია, შეიმუშაოს და განახორციელოს სისხლის სამართლის რეფორმა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ასევე, კოორდინაცია გაუწიოს სისხლის სამართლის სფეროში საუწყებათაშორისო საქმიანობას. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან როგორც სამთავრობო უწყებების, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. საბჭოს მიერ დამტკიცებულია სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განახლებაც ხდება ყოველწლიურად.

საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, 2015 წლის სისხლის სამართლის სტრატეგიაში გათვალისწინებულია ცალკეული საკითხები, აღნიშნულია, რომ „პენიტენციური სისტემის რეფორმის მიზანია, პატიმართა უფლებების მაქსიმალური დაცვა და ცხოვრების პირობების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე, სათანადო სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების განვითარება, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და დანაშაულის რეციდივის პრევენცია“.[3] ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაიზარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართი. „მსჯავრდებულთათვის ყველა დაწესებულების საცხოვრებელი ფართი ევროპული სტანდარტების დაცვით ერთ პირზე არის 4 m^2-ზე მეტი, ხოლო ბრალდებულთათვის - 3 m^2-ზე მეტი. გაუქმდა საბჭოთა „კარანტინისა“ და „ფუქსების“ ინსტიტუტი და შეიქმნა თანამედროვე გონივრული დაკავების განყოფილებები მიმღებ ციხეებში, სადაც ახალმოსული პატიმრები ერთ სივრცეში იღებდნენ ყველა სერვისს, მათ შორის, რისკების შეფასებას, ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ დახმარებას.“ იქვე აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო პერმანენტულად მუშაობს მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობისა და პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიმართულებით. გაიხსნა სასჯელაღსრულების დაბალი რისკის №16 დაწესებულება, სადაც დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულების განთავსება იგეგმებოდა. უახლოეს მომავალში იგეგმებოდა სასჯელაღსრულების №6 დაწესებულების გახსნაც, რომელშიც 2015 წლის სტრატეგიის თანახმად, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა.

ასევე, ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა სრულწლოვანთაგან განცალკევებით მოთავსების მიზნით, ორხევის დასახლებაში დაგეგმილი იყო სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულების გახსნა, რომელიც ექსკლუზიურად 18-21 წლის ასაკობრივ ჯგუფზე იქნებოდა გათვლილი.

სტრატეგიის თანახმად, „გარდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდება დაწესებულებების განახლება ყოველწლიურად, შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით

2 საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (2014-2016 წწ; 2017-2020 წწ).

3 სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სტრატეგია, გვ. 6

აღჭურვა. გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებებში გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული საქმიანობა. დაბა ლაითურში მშენებარე და სხვა ახალი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდება საზოგადოებრივი მისაღებები, ხოლო თანამშრომლები მუდმივად გაივლიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მხრივ".[4]

სტრატეგიაში ასევე აღნიშნულია, რომ არასრულწლოვან პატიმართა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობა კვლავ უნდა გაგრძელდეს.[5] "მიუხედავად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა, მნიშნელოვანია ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება. რაც მთავარია, უნდა იყოს უზრუნველყოფილი წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა განცალკევება სრულწლოვანი პატიმრებისგან".[6]

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიაში წინა წლის სტრატეგიის მსგავსად, ნათქვამია, რომ "პენიტენციური სისტემის რეფორმის მიზანია, პატიმართა უფლებების მაქსიმალური დაცვა და ცხოვრების პირობების, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე, სათანადო სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების განვითარება, დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და დანაშაულის რეციდივის პრევენცია".[7] წინა წლის მსგავსად, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ გაიზარდა საცხოვრებელი ფართის სტანდარტი, გაუქმდა „კარანტინი" და „ფუქსები" და შეიქმნა თანამედროვე გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებები. სიახლის სახით, სტრატეგიაში მითითებულია, რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების საკანონმდებლო ჩამონათვალს დაემატება ტელევიზორით და რადიომიმღებით სარგებლობის უფლება, რაც ამ დრომდე მხოლოდ წახალისების ფორმას წარმოადგენდა. გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა. პატიმრებისთვის ხელმისაწვდომი იყო რბილი ინვენტარი და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებები. პენიტენციურ სისტემაში განახლდა კვების სტანდარტი, რომელიც მოიცავდა 12 განსხვავებულ რაციონს სხვადასხვა საჭიროების მქონე პატიმართა ჯგუფებისთვის 3-ჯერადი კვებითი უზრუნველყოფით.[8]

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, აღნიშნულია, რომ პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია სამინისტროს პრიორიტეტია. აუცილებელია გადასვლა დიდი ზომის დაწესებულებებიდან შედარებით მცირე ზომის, თანამედროვე ტიპის დაწესებულებებზე, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დაწესებულების სწორად მართვას და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, მსჯავრდებულთა განთავსებას ღირსეულ საცხოვრებელ პირობებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 2015 წელს გაიხსნა სასჯელაღსრულების დაბალი რისკის №16 დაწესებულება, სადაც დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულები თავსდებიან. ასევე გაიხსნა განსაკუთრებული რისკის №6 პენიტენციური დაწესებულება, სადაც განთავსებულ იქნენ მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები. ამასთან, დოკუმენტის თანახმად, ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა დაბა ლაითურში მდებარე განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის დასასრულებლად და ასამოქმედებლად. დაგეგმილი იყო №7 დაწესებულების კაპიტალური რეკონსტრუქცია.

სტრატეგიის დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ წინა წლის მსგავსად, იგეგმებოდა ახალი პენიტენციური დაწესებულების გახსნა, რომელიც არასრულწლოვან და 18-21 წლის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ასაკობრივ ჯგუფზე უნდა ყოფილიყო გათვლილი. სტრატეგიის თანახმად, უკვე შემუშავებული იყო დაწესებულების კონცეფცია და დიზაინი. დოკუმენტის შედგენის პერიოდისთვის გრაფიკის შესაბამისად ხორციელდებოდა დაწესებულების დეტალური არქიტექტურული პროექტის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებები. 2016 წლიდანვე იგეგმებოდა სამშენებლო სამუშაოების დაწყება. დაწესებულების მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იყო სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტით. სტრატეგიის მიხედვით: „გარდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა, საჭიროებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად ხორციელდება დაწესებულებების განახლება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებებში გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული საქმიანობა. დაბა ლაითურში მშენებარე და სხვა ახალი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდება საზოგადოებრივი მისაღებები, ხოლო თანამშრომლები მუდმივად გაივლიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად".[9]

სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგიაში ასევე საუბარია საყოფაცხოვრებო პირობებსა და ინფრასტრუქტურულ საკითხებზე. კერძოდ, ზედიზედ მესამე წლის მანძილზე განმეორებულია, რომ „გაიზარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართის სტანდარტი. მსჯავრდებულთათვის ყველა დაწესებულების საცხოვრებელი ფართი ევროპული სტანდარტების დაცვით ერთ პირზე არის 4 $მ^2$-ზე მეტი, ხოლო ბრალდებულთათვის - 3 $მ^2$-ზე მეტი, შეიქმნა მიღებისა და განთავსების განყოფილებები მიმღებ ციხეებში, სადაც ახალმოსული პატიმრები ერთ სივრცეში იღებენ ყველა სერვისს, მათ შორის, რისკების შეფასებას,

4 იქვე, გვ. 61

5 იქვე, გვ. 81

6 იქვე, გვ. 84

7 სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სტრატეგია, გვ. 7

8 იქვე, გვ. 67

9 იქვე, გვ. 70

ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ დახმარებას. გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა. პატიმრებისათვის ხელმისაწვდომია რბილი ინვენტარი და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებები".[10]

დოკუმენტში ასევე საუბარია, რომ პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია სამინისტროს პრიორიტეტია. მეორდება წინა წლის სტრატეგიის დებულებები მცირე ზომის დაწესებულებების უპირატესობებთან დაკავშირებით. ასევე 2015-2016 წლების მსგავსად, მეორდება, რომ დაიგეგმა ახალი პენიტენციური დაწესებულების გახსნა, რომელიც არასრულწლოვან და 18-21 წლის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ასაკობრივ ჯგუფზეა გათვლილი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვან და 18-21 წლამდე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განცალკევებული დაწესებულების კონცეფციისა და დიზაინის პირველადი პროექტი მომზადებულია (რაც წინა წელს უკვე მზად იყო). წინა წლის მსგავსად, მეორდება, რომ ხორციელდება დაწესებულების დეტალური არქიტექტურული პროექტის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებები. სტრატეგიაში აღნიშნულია: „2017 წელს მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით, ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის მიღების შემდგომ ჩატარდება ბაზრის მოკვლევა, გამოცხადდება სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურა, გამოვლინდება სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია და ჩატარდება მიწის სამუშაოები. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა 14-21 წლამდე სპეციალური დაწესებულების მშენებლობისათვის მიმდინარეობს ევროპული სტანდარტებისა და გამოცდილების შესაბამისი ახალი კონცეფციის შემუშავება, რომელიც უნდა დასრულდეს 2017 წლის ბოლოს, რომლის შემდეგაც მოხდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (თუმცა წინა წლის სტრატეგიაში მითითებული იყო, რომ კონცეფცია უკვე შემუშავებულია)".

სტრატეგიის მიხედვით, გარდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა, საჭიროებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად ხორციელდებოდა დაწესებულებების განახლება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. დოკუმენტის თანახმად, უნდა გაგრძელებულიყო სხვადასხვა დაწესებულებებში გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნა. „დაბა ლაითურში მშენებარე და სხვა დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიებზე აშენდება საზოგადოებრივი მისაღებები, ხოლო თანამშრომლები, საჭიროებიდან გამომდინარე, პერმანენტულად გაივლიან გადამზადებას მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად".[11]

სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის სტრატეგიაში, წინა წლების მსგავსად (იგივე ფრაზებითა და ტერმინებით), საუბარია, რომ გაიზარდა ერთ მსჯავრდებულზე/ბრალდებულზე გამოყოფილი მინიმალური ფართი; პენიტენციური რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობები. კერძოდ, გაიზარდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართის სტანდარტი. მსჯავრდებულთათვის ყველა დაწესებულების საცხოვრებელი ფართი, ევროპული სტანდარტების დაცვით, ერთ პირზე არის 4 მ²-ზე მეტი, ხოლო ბრალდებულთათვის - 3 მ²-ზე მეტი. გაუქმდა „კარანტინი" და „ფუქსები", შეიქმნა თანამედროვე გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებები მიმღებ ციხეებში, სადაც ახალმოსული პატიმრები ერთ სივრცეში იღებენ ყველა სერვისს, მათ შორის, რისკების შეფასებას, ფსიქიატრიულ და ნარკოლოგიურ დახმარებას. გაუმჯობესდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთათვის ხელმისაწვდომია რბილი ინვენტარი და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებები. პენიტენციურ სისტემაში განახლებულია კვების სტანდარტი, რომელიც მოიცავს 12 განსხვავებულ რაციონს სხვადასხვა საჭიროების მქონე პატიმართა ჯგუფებისთვის 3-ჯერადი კვებითი უზრუნველყოფით. პენიტენციური დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია სამინისტროს პრიორიტეტია. აუცილებელია გადასვლა დიდი ზომის დაწესებულებებიდან შედარებით მცირე ზომის, თანამედროვე ტიპის დაწესებულებებზე, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს როგორც დაწესებულების სწორად მართვასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ასევე მსჯავრდებულთა განთავსებას ღირსეულ საცხოვრებელ პირობებში.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №3107 ბრძანების შესაბამისად, დამტკიცდა 14-დან 21 წლამდე ბრალდებულ-მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ახალი კონცეფციის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის მუშაობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული UNICEF-ის ექსპერტი. ექსპერტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, ახალი დაწესებულების მშენებლობის ნაცვლად, უნდა მოხდეს უკვე არსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო პენიტენციური დაწესებულების რეკონსტრუქცია. 2018 წელს ჯგუფის მუშაობა გაგრძელდება ექსპერტის რეკომენდაციების შესაბამისად. გარდა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა, საჭიროებიდან გამომდინარე, ეტაპობრივად ხორციელდება დაწესებულებების განახლება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა. გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებებში გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის შექმნა.[12]

10 სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სტრატეგია, გვ. 98

11 იქვე, გვ. 104

12 სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის სტრატეგია, გვ. 53-54

6. არსებული გამოწვევები

უშუალოდ ადამიანის უფლებათა და სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმების რელევანტურობისა და შესრულების ანგარიშის შეფასებამდე, მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ის საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო 2014-2018 წლებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, რაც გამოიკვეთა აღნიშნული პროექტის ფარგლებში პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით მომზადებული სამაგიდე კვლევითა და მითითებულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებით, ასევე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშის საფუძველზე. კერძოდ, **სამაგიდე კვლევის თანახმად,**[13] პენიტენციურ სისტემაში 2018 წლისთვის კვლავაც აქტუალური იყო შემდეგი საკითხები (მათი დიდი ნაწილი დღემდე პრობლემურია):

- პატიმართა განთავსების პრაქტიკის თავისებურება (ე.წ. ბარაკული ტიპის საცხოვრებლები, სადაც მწეველი და არამწეველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ);
- მინიმალური საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის პრობლემა;
- პრობლემები სასეირნო ეზოების დაგეგმარების, დიზაინისა და მოწყობის კუთხით;
- განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებისთვის ვიდეოპაემნით სარგებლობის ინფრასტრუქტურის მოწყობის პრობლემა;
- პატიმრობის კოდექსით ბრალდებულების 4 $მ^2$-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ვალდებულების საკანონმდებლო დონეზე დადგენა;
- ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგიის შემუშავება;
- №15 დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების მიზნით, მსჯავრდებულების გადაყვანა სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება;
- №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმრის უზრუნველყოფა 4 $მ^2$-ის საცხოვრებელი ფართით;
- №14 და №17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გაუქმება;
- №2, №3, №6, №7, №8, №9, №12, №14, №15, №16, №17, №18, №19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინის ბარიერის გარეშე (ამჟამად №12 და №7 დაწესებულებები გაუქმებულია);
- №18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის ხანგრძლივი პაემნის ორგანიზების უზრუნველყოფა დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით;
- №2, №3, №6, №7, №9, №14, №18 და №19 დაწესებულებებში ვიდეოპამენისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- დახურული ტიპის დაწესებულებებში ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნებოდა სატელეფონო ზარი განეხორციელებინა დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე;
- დეესკალაციის ოთახებში უსაფრთხო გარემოს შექმნის აუცილებლობა, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით;
- პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, განათება და ვენტილაცია;[14]

13 იხ. ბმული https://www.rivg.ge/media/1001537/2019/03/04/d049be6e7443af68cc487ce889b783a3.pdf

14 2017 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში, გვ. 22-23

- №8 დაწესებულების შეკეთებისა და დეზინფიცირების საჭიროება, №6 და №9 დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, №15 დაწესებულების შეკეთებისა და დასუფთავების საჭიროება;[15]

- ყველა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის უზრუნველყოფილი იყოს მინიმალური საცხოვრებელი ფართი მრავალადგილიან საკნებში - 4m^2-ის, ხოლო ერთადგილიან საკნებში 6 m^2-ის ოდენობით, ახალი ციხეებისთვის განსაზღვრულია კიდევ უფრო მაღალი სტანდარტი.[16]

7. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების მეორადი ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში გასცემდა რეკომენდაციებს პენიტენციურ დაწესებულებებში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, რომელთა დიდი ნაწილიც აისახა სამაგიდე კვლევაშიც, თუმცა ქრონოლოგიის გასააზრებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი წლების მიხედვით გამოყოფა:

2013 წლის ანგარიში

- №7 დაწესებულებას დაემატოს შეხვედრების ოთახები (ე.წ საგამოძიებო) იმ რაოდენობით, რომ უფლებამოსილ პირებს არ შეექმნათ შეფერხება პატიმრების მონახულებასთან დაკავშირებით;

- უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაწესებულების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური განათება, ვენტილაცია და გათბობა;

- უზრუნველყოფილ იქნეს ზემოთ მითითებული ყველა დაწესებულების სათანადო გარემონტება და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

- ყველა თავისუფლებააღკვეთის დაწესებულებაში გამოიყოს შეხვედრის ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.[17]

საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში

- გაუქმდეს სასჯელაღსრულების №7 დაწესებულება;

- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №3 დაწესებულების უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად;

- №5, №9 დაწესებულებებში შეიქმნას ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა;

- №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყონ 4 m^2-ის ფართით;

- №3, №8 დაწესებულებების საცხოვრებელი საკნებიდან გაიტანონ ზედმეტი საწოლები;

- №2, №3, №5, №8 დაწესებულებებში უზრუნველყონ სათანადო ვენტილაცია;

- №5 დაწესებულებაში, საგამოძიებო ოთახებში, დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა;

- №14, №15 და №17 დაწესებულებების ძირითად საცხოვრებელ საკნებში, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში, უზრუნველყონ სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია;

15 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2018 წლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, გვ. 31-33

16 წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 2018 წლის ანგარიში საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ.

17 საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 41

- №6, №9, №11, №12 დაწესებულებებში როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და საკარანტინო საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და საშხაპე ოთახებში, უზრუნველყონ სათანადო ხელოვნური ვენტილაცია;

- №8 დაწესებულების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს გათბობის სისტემა და შეკეთდეს არსებული კონდიციონერები. საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა;

- №11 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისათვის განკუთვნილ ოთახში ჩატარდეს შესაბამისი სარემონტო სამუშაოები, დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში აღმოიფხვრას სინესტის გამომწვევი მიზეზი და სათანადოდ გარემონტდეს;

- №8 დაწესებულების ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირის დონეზე მოეწყოს სასეირნო ეზო. სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟებით;

- №3, №14 დაწესებულებებში სასეირნო ეზოს მოსაწყობად სათანადო ფართი გამოიყოს, ეზო კი იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყონ სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა;

- №5 დაწესებულების დედათა და ბავშვთა განყოფილებაში განახლდეს მოძველებული ინვენტარი, №5 დაწესებულებაში პაემანზე მყოფი პირებისთვის უზრუნველყონ კონფიდენციალური გარემო სათანადო ფართით;

- №5, №15 და №17 დაწესებულებებში, საშხაპეებში მოწესრიგდეს საკანალიზაციო და სავენტილაციო სისტემები;

- №8 დაწესებულებაში გარემონტდეს საშხაპე ოთახები და აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით;

- №14 დაწესებულებაში და №17 დაწესებულების დახურული ტიპის საცხოვრებელ კორპუსში პრივატულობის უზრუნველსაყოფად, საშხაპე გადაიტიხროს;

- №14 დაწესებულებაში, სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული პატიმრებისთვის განკუთვნილ №5 კორპუსში მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები, ამასთან, აღნიშნული პატიმრები განთავსდნენ შესაბამის პირობებში;

- №14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში არსებული სამანიპულაციო ოთახი სათანადოდ განცალკევდეს მიმღები ოთახისაგან და დაცული იქნას სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

- №2 დაწესებულებაში ქალი პატიმრები უზრუნველყონ პირადი ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ყველა საშუალებით;

- №2, №3, №5, №6, №9, №11, №12, №14, №15, №17, №18 და №19 დაწესებულებებში გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველის/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.[18]

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში

- გაუქმდეს №7 დაწესებულება;

- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №3 დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად;

- №8 და №9 დაწესებულებებში შეიქმნას ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;

- №2, №3, №7, №8, №9, №12, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყონ 4 $მ^2$ ფართით;

- №3 დაწესებულების საცხოვრებელი საკნებიდან გაიტანონ ზედმეტი საწოლები;

18 საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 70-73

- №2, №3, №6, №8, №9, 12, №15 და №17 დაწესებულებებში არსებულ საცხოვრებელ საკნებში უზრუნველყონ სათანადო ვენტილაცია;
- №5 და №8 დაწესებულებების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა;
- №2, №5, №6, №12, №14, №15 და №17 დაწესებულებების სამარტოო, საკარანტინე, საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველყონ სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია;
- №9 და №15 დაწესებულებებში საგამოძიებო და საშხაპე ოთახებში უზრუნველყონ სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია;
- №8 დაწესებულებაში არსებულ დეესკალაციის ოთახებში უზრუნველყოფილ იქნას სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- №15 დაწესებულების სამარტოო და საკარანტინე საკნებში განხორციელდეს სანიტარული კვანძების იზოლირება, მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №15 დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებსა და სამრეცხაოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად;
- №17 დაწესებულების სამზარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით მოეწყოს ჭურჭლის დასარეცხად საჭირო ნიჟარები;
- №6 დაწესებულებაში, ახალგარემონტებულ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში პატიმართა განმარტოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს კარის მეშვეობით საპირფარეშოს საკნიდან სრული იზოლირება;
- №2 დაწესებულებაში მყოფი ყველა პატიმარი, სათანადო პერიოდულობით, უზრუნველყოფილ იქნას საჭირო ოდენობის სუფთა თეთრეულით;
- ბოლო სართულზე არსებულ საკნებში წყლის ჩადინების თავიდან ასაცილებლად შეკეთდეს №8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსების სახურავები;
- №8 დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს;
- №8 დაწესებულების ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირის დონეზე მოეწყოს სასეირნო ეზო. სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება;
- №3 დაწესებულებაში სასეირნო ეზოს მოსაწყობად სათანადო ფართი გამოიყოს, ეზო კი იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყოფილ იქნას სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა;
- პატიმართა ტანისამოსისა და თეთრეულის სისუფთავის დასაცავად უზრუნველყოფილ იქნას №9 დაწესებულებაში სამრეცხაო ბლოკის მოწყობა;
- №8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებთან არსებულ დერეფანში უზრუნველყოფილ იქნას ელექტრონული სამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება;
- №5 და №11 დაწესებულებაში პაემანზე მყოფი პირებისთვის უზრუნველყონ კონფიდენციალური გარემო;
- სათანადო ფართით, №12 დაწესებულებაში საგამოძიებო ოთახი მოეწყოს იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს რამდენიმე პაემნის ერთდროულად განხორციელების დროს საუბრის კონფიდენციალურობის დაცვა;
- №8 დაწესებულებაში გარემონტდეს საშხაპე ოთახები და აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით;
- №5, №15 და №17 დაწესებულებების საშხაპეებში მოწესრიგდეს საკანალიზაციო სისტემა;
- №12 დაწესებულებაში უსაფრთხოების ზომების დაცვით მოხდეს ელექტრო გაყვანილობის ქსელების დამონტაჟება, უზრუნველყოფილ იქნას №12 დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა საკნებისა და ძველი სარეჟიმო კორპუსის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №15 დაწესებულებაში საკმარისი სატელეფონო აპარატების დასამონტაჟებლად;

- №2, №3, №5, №6, №9, №11, №12, №14, №15, №17, №18 და №19 დაწესებულებებში გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება, შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.[19]

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში

- გაუქმდეს №7დაწესებულება;
- №2, №7, №8, №12, №14, №15 და №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 m^2 საცხოვრებელი ფართით;
- უზრუნველყოფილ იქნას №2 და №8 დაწესებულებაში მყოფი ბრალდებულების იზოლირება მსჯავრდებულებისაგან, როგორც მინიმუმ, ერთმანეთისაგან განცალკევებული საცხოვრებელი ფართით;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №14 და №17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლების გასაუქმებლად;
- №2, №6, №5 და №8 დაწესებულებების საცხოვრებელ, მოსაცდელ საკნებში, №2 და №8 დაწესებულებების მოსაცდელ, სამარტოო საკნებსა და საშხაპეებში, №8 დაწესებულების საგამოძიებო და №15 დაწესებულების ადვოკატებთან შეხვედრის ოთახებში დამონტაჟდეს სათანადო ხელოვნური ვენტილაცია;
- უზრუნველყოფილ იქნას №9 და №15 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების, №6 დაწესებულების საშხაპეებისა და ხანმოკლე პაემნების კაბინების ხელოვნური ვენტილაცია;
- უზრუნველყოფილ იქნას №8 დაწესებულების დეესკალაციის, ხოლო №17 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების სათანადო ბუნებრივი ვენტილაცია;
- უზრუნველყოფილ იქნას №15 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების სათანადო გათბობა;
- უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციური დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში ბეტონის იატაკის შეცვლა, სხვა, ჯანმრთელობისათვის უვნებელი საშუალებით;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №2, №8, №15 და №17 დაწესებულებების როგორც საცხოვრებელ, ასევე სამარტოო და მოსაცდელ საკნებში, ასევე საშხაპეებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დასაცავად;
- უზრუნველყოფილ იქნას №3 დაწესებულების სამარტოო, №5, №7, №12, №14 დაწესებულებების საცხოვრებელ საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- №12 დაწესებულებაში მოძველებული საცხოვრებელი საკნების გარემონტება;
- უზრუნველყოფილ იქნას №15 დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსში არსებულ დერეფნებსა და კიბეებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;
- განხორციელდეს №2 დაწესებულების საცხოვრებელი საკნების აღჭურვა ტუმბოებით;
- №15 დაწესებულების დახურული ტიპის საკნებში, №3 დაწესებულების სამარტოო და უსაფრთხო, №6 დაწესებულების საცხოვრებელ, უსაფრთხო და №8 დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში სანიტარული კვანძი იმგვარად მოეწყოს, რომ არ მოხვდეს კამერის ხედვის არეალში, ასევე მოხდეს მათი იზოლირება, პრივატულობის დასაცავად;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №2 და №5 დაწესებულებებში კანალიზაციის სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- უზრუნველყოფილ იქნას №8 დაწესებულების საშხაპეებში წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმების შეკეთება, ასევე №8 დაწესებულების საშხაპეებსა და №12 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში როზეტებისა და შუქის ჩამრთველების უსაფრთხოების წესების დაცვით დამონტაჟება;

19 საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 70-71

- №8 დაწესებულების საშხაპეების სათანადო ხელოვნური განათება;
- №8 დაწესებულების საშხაპეების სკამებითა და საკიდებით აღჭურვა;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №2 და №5 დაწესებულებებში პატიმართა სეზონის შესაფერისი ტანისამოსით უზრუნველსაყოფად;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №2, №6, №8 და №18 დაწესებულებებში პატიმართა პირადი ჰიგიენის ნივთებით მოსამარაგებლად;
- №2 დაწესებულებაში მყოფი ქალები უზრუნველყოფილნი იყვნენ საჭირო ჰიგიენური საშუალებებით;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №5 დაწესებულებაში მყოფი ქალების საკნებში ცხელი წყლით უზრუნველსაყოფად;
- №2, №3, №6, №8, №9, №5 და №17 დაწესებულების სასეირნო ეზოები აღიჭურვოს სავარჯიშო ინვენტარით;
- №14 დაწესებულების სპორტული მოედნები აღიჭურვოს სათანადოდ (ხელოვნური მინდვრის საფარი, კარები, კალათბურთის ფარი);
- №8 დაწესებულებაში მოეწყოს დამატებითი სასეირნო ეზოები, რათა ყველა მსჯავრდებულმა შეძლოს გასეირნების უფლებით სარგებლობა;
- მიღებულ იქნას ყველა საჭირო ზომა №3 დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად;
- №8, №9, №18 და №19 დაწესებულებებში შეიქმნას ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა;
- პენიტენციური დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში გამოიყოს ოთახი, სადაც საქართველოს სახალხო დამცველს/სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს ნებისმიერ დროს ექნება საშუალება, შეხვდეს პატიმარს ყოველგვარი მიყურადებისა და თვალთვალის გარეშე.[20]

საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში

არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შემუშავდეს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია:

- გაუქმდეს №7 დაწესებულება;
- №15 დაწესებულებაში გადატვირთულობის პრობლემის მოგვარების მიზნით, განხორციელდეს მსჯავრდებულების გადაყვანა სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში გათვალისწინებული იყოს მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი;
- №2, №8, №12, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილ იქნას 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართით;
- გაუქმდეს №14 და №17 დაწესებულებებში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები;
- №2, №3, №6, №7, №8, №9, №12, №14, №15, №16, №17, №18, №19 დაწესებულებებში ხანმოკლე პაემნები განხორციელდეს მინის ბარიერის გარეშე;
- №18 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის უზრუნველყოსფილი იყოს ხანგრძლივი პაემნის ორგანიზება დაწესებულებებში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის შექმნის ან სხვა დაწესებულებაში გადაყვანის საშუალებით;
- №2, №3, №6, №7, №9, №12, №14, №18 და №19 დაწესებულებებში განხორციელდეს ვიდეოპამენისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა;

20 საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 106-107

- დახურული ტიპის დაწესებულებებში მოხდეს ტელეფონების მოთავსება ისეთ ადგილას, სადაც პატიმარს შესაძლებლობა ექნება სატელეფონო ზარი განახორციელოს დაწესებულების თანამშრომლის მიყურადების გარეშე;

- დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით;

- პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციურ დაწესებულებებში სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობა, განათება და ვენტილაცია.[21]

2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიში

საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, 2018 წლის სახალხო დამცველის ანგარიში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ აერთიანებს შემდეგ რეკომენდაციებს:

- 2019 წელს, მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა პატიმრობის კოდექსით განისაზღვროს ბრალდებულების მინიმალური საცხოვრებელი ფართით (4 $მ^2$) უზრუნველყოფის ვალდებულება;

- 2019 წელს, მიღებულ იქნას ყველა ზომა, რათა №15 დაწესებულებაში, გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, მსჯავრდებულები გადაიყვანონ სხვა ნახევრად ღია დაწესებულებაში და ამ პროცესში გაითვალისწინონ მსჯავრდებულების ოჯახის საცხოვრებელი ადგილი; ანალოგიურად, №2 დაწესებულებაში, გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად, პატიმრები გადაიყვანონ იმავე ტიპის სხვა დაწესებულებაში და ამ პროცესში გაითვალისწინონ პატიმართა ოჯახის საცხოვრებელი ადგილი;

- 2019 წელს, მიიღონ ყველა ზომა, №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი თითოეული პატიმარი 4 $მ^2$ -ის საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად;

- გაუქმდეს №17 დაწესებულებაში ე.წ. ბარაკის ტიპის საცხოვრებლები;

- 2019 წელს, მიიღონ ყველა ზომა, რათა პატიმრებისთვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად, №2, №5, №8, №14, №15, №17, №18 და №19 პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოს სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, №3, №8, №14 დაწესებულებებში სათანადო განათება, ხოლო №2, №3, №5, №6, №8, №9, №14, №15, №17 დაწესებულებებში - შესაბამისი ვენტილაცია.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წლიდან წლამდე ფიზიკური გარემოსა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გარკვეული დონით გაუმჯობესების მიუხედავად, მაინც პრობლემად რჩებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა განათება და ვენტილაცია, სასეირნო ეზოების აღჭურვა/მოწყობა, ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობა ყველა დაწესებულებაში, მსჯავრდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. წლების განმავლობაში გაიცემოდა რეკომენდაცია №7 დაწესებულების დახურვის შესახებ, რაც საბოლოოდ განხორციელდა 2018 წელს.

21 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, გვ. 53

8. სამოქმედო გეგმების ანალიზი

ა) ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო გეგმა[22]

2014-2015 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით აერთიანებს 2 მიზანს, 2 ამოცანასა და 6 საქმიანობას/ღონისძიებას. კერძოდ:

მიზანი 5.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება. **ამოცანა 5.1.3.** პატიმრობის პირობების გაუმჯობესება, მათ შორის სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების - ქალების, არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებათა გათვალისწინებით, რომელიც აერთიანებს 5 საქმიანობას.

საქმიანობა 5.1.3.2. პენიტენციურ სისტემაში არსებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და მათი შესაბამისად აღჭურვა.

ინდიკატორი: გარემონტებულ და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ დაწესებულებათა რაოდენობა, სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები.

რელევანტურობა: როგორც მიზანი, ასევე ამოცანა სრულიად რელევანტურია, რადგან პატიმრობის პირობების, განსაკუთრებით ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების პირობების გაუმჯობესების საჭიროება აქტიურად იდგა პენიტენციური სისტემის დღის წესრიგში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზნის მიღწევის გასაზომად მოცემული ინდიკატორები სრულიად არარელევანტურია. ნაცვლად იმისა, რომ შედეგის მიღწევის გაზომვისთვის მითითებული იყოს გარემონტებული და აღჭურვილი დაწესებულებების რაოდენობის დათვლა, ინდიკატორი თავად უნდა აღწერდეს კონკრეტულად რამდენი დაწესებულების გარემონტება და აღჭურვა იყო განსაზღვრული და რა ჩაითვლებოდა საქმიანობის შესრულებად. ასევე გაუგებარია ომბუდსმენის ანგარიშები თავისთავად როგორ უნდა გახდეს საქმიანობის შესრულების ინდიკატორი. რა ტიპის ანგარიში, ან მასში ასახული რა ტიპის შეფასება მიიჩნევა საქმიანობის შესრულებად.

შესრულების შეფასება: 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნული საქმიანობის სტატუსი მოცემულია როგორც შესრულებული, კერძოდ აღნიშნულია, რომ 2015 წლის განმალობაში პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა შემდეგი კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები:

- №3 დაწესებულებაში პირობების გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა დაწესებულების საკნების გათბობა-გაგრილების სისტემის (კონდიციონერების) სამონტაჟო კაპიტალური სამუშაოები;
- №5 დაწესებულების ძირითადი სარეჟიმო კორპუსის „C“ ფლიგელში შესრულდა „ატლანტისის“ პროგრამის განხორციელებისათვის საკნების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ასევე, შესრულდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის სამედიცინო ნაწილის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთათვის საკნების მოწყობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;
- №6 დაწესებულებას ჩაუტარდა სრული კაპიტალური რემონტი, ასევე კაპიტალური რემონტი ჩატარდა დაწესებულების სასადილოში და აღიჭურვა ახალი ტექნიკური საშუალებებით;
- №8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსებში პატიმართა პირობების გაუმჯობესების მიზნით, ეტაპობრივად ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- №9 დაწესებულებაში ჩატარდა სხვადასხვა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;
- №12 დაწესებულებაში ჩატარდა დაწესებულების სარეჟიმო კორპუსის სამედიცინო ნაწილში აფთიაქისა და C ჰეპატიტის სამკურნალო ოთახების კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. ასევე, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა და გამართულად ფუნქციონირებს სველი წერტილები;
- №14 დაწესებულებაში 2015 წლის მარტში დასრულდა რემონტი და თანამედროვე აღჭურვილობით მოეწყო დაწესებულების სამზარეულო, რომელიც აკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებს. ასევე, მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსებში;

22 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

- №15 დაწესებულებაში სრული სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა დაწესებულების სამედიცინო ნაწილს. ასევე განახლდა და მოეწყო დაწესებულების აფთიაქი;

- №16 დაწესებულებაში სრულად დასრულდა სარემონტო-სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოები. ასევე, სრულად მოეწყო და დასრულდა დაწესებულების საწარმოო ზონის სამშენებლო სამუშაოები;

- №17 დაწესებულებაში ჩატარდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. 2015 წელს თითოეულ დაწესებულებას საჭიროებების შესაბამისად გადაეცა გარკვეული სახის ინვენტარი. [23]

დასკვნა: როგორც ვხედავთ, გარკვეული აქტივობები მოცემული საქმიანობის შესასრულებლად მართლაც გატარდა, თუმცა რთულია შეფასება რამდენად იყო საკმარისი გაწეული სამუშაო გეგმაში განსაზღვრული საამიანობის შესასრულებლად. ასევე ზოგადი შესრულების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომ დაწესებულებებს საჭიროების მიხედვით გადაეცათ გარკვეული სახის ინვენტარი. აღნიშნული წინადადებიდან არ ირკვევა რომელ დაწესებულებას რა ტიპის ინვენტარი გადაეცა, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ძალიან მცირე მნიშვნელობის აქტივობაც კი ამ მიმართულებით მიჩნეულ იქნას დაგეგმილი საქმიანობის შესრულებად, რაც რეალურ გავლენას მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ვერ მოახდენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ინფრასტრუქტურული საკითხები, რომლებიც საკმაოდ კონკრეტულად, დაწესებულებების მიხედვით იყო მოცემული 2013-2014 წლების ომბუდსმენის ანგარიშებში არ შესრულებულა (ყოველ შემთხვევაში მათზე ინფორმაცია ანგარიშში მოცემული არ არის), ეს რეკომენდაციები ეხება №7 დაწესებულების დახურვას, მთელ რიგ დაწესებულებებში ეზოების, ვენტილაციის, ხელოვნური განათების, მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის, კონკრეტულ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების საჭიროებას.

საქმიანობა 5.1.3.4. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა.

ინდიკატორი: რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფილ პატიმართა რაოდენობა; სახალხო დამცველის სპეციალური და საპარლამენტო ანგარიშები.

რელევანტურობა: აღნიშნული აქტივობა მნიშვნელოვანი და დროულია, რადგან ჰიგიენისათვის საჭირო ნივთებისა და რბილი ინვენტარის რეგულარული მიწოდება მსჯავრდებულებისა და ბრალდებულებისთვის ყოველთვის წარმოადგენს რელევანტურ საქმიანობას. აქაც, წინა საქმიანობის მსგავსად, კარგად არ არის ფორმულირებული ინდიკატორები, რაც შესაძლებელს გახდიდა საქმიანობის განხორციელების გაზომვას. კერძოდ, არ არის განსაზღვრული პატიმართა რაოდენობა, რომელთა უზრუნველყოფაც უნდა განხორციელდეს, არ არის განსაზღვრული, რა ჩაითვლება რეგულარულ უზრუნველყოფად, ეს შესაძლოა იყოს თვეში ერთხელ, 3 თვეში ერთხელ ან კვირაში ერთხელ. აღნიშნული ინტერვალები რეგულარულ სახეს ატარებს, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა და მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია კონკრეტული ინტერვალის განსაზღვრა.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში, აღნიშნული აქტივობის სტატუსი მოცემულია როგორც შესრულებული. გეგმაში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილია რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით, რაც მოწესრიგებულია დაწესებულების შიდა რეგულაციებით. ქალ პატიმართათვის ჰიგიენური საშუალებების მიწოდების პრობლემა აღმოიფხვრა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა ქალთა №5 დაწესებულების დებულება, რომლითაც განისაზღვრა იმ ჰიგიენური საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა ყიდვაც შესაძლებელია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. ამასთანავე, დებულების 36-ე მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ ბრალდებულ/მსჯავრდებულ ქალებს მიეწოდებათ ჰიგიენური საფენები. დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ნორმის აღსრულებას.[24]

დასკვნა: თავად შესრულების ანგარიშში მოცემული ინფორმაციაც ბუნდოვანია, არ ირკვევა რა რაოდენობითა და ინტენსივობით ხდება ჰიგიენური საშუალებების მიწოდება, რამდენად საკმარისია მიწოდებული საშუალებები მსჯავრდებულთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მიწოდებისა და საჭიროების თანაფარდობის დადგენაც რთულია, რადგან ანგარიშიდან, ასევე მოცემული ინდიკატორიდან ვერ ვიგებთ, კერძოდ, რა რაოდენობის საშუალებების მიწოდება ხდება და რა პერიოდულობით. შესაბამისად, სრულად მოხდა გეგმის შესრულება თუ ნაწილობრივ, გადაჭრით შეფასება შეუძლებელია.

საქმიანობა 5.1.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

---

23 ადამიანის უფლებათა 2014-2015 წლების გეგმის შესრულების ანგარიში, გვ. 38

24 იქვე, გვ. 39

ინდიკატორი - გრძელვადიანი ვიზიტებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილ თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობა; პრევენციის ეროვნული მექანიზმების ანგარიშები.

რელევანტურობა: წლების მანძილზე გრძელვადიანი ვიზიტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნა წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას პენიტენციურ სისტემაში, შესაბამისად, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები დროული და მნიშვნელოვანია. კვლავ ვაწყდებით ინდიკატორის ფორმულირების პრობლემას, რომელშიც საუბარია ვიზიტებისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობაზე, თუმცა მოცემული არ არის კონკრეტულად რომელ დაწესებულებაში უნდა განხორციელებულიყო გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა, გრძელვადიანი ვიზიტით რამდენი მსჯავრდებულის უზრუნველყოფა ჩაითვლებოდა საქმიანობის წარმატებით შესრულებად. ინდიკატორების ასეთი ბუნდოვანი და ზოგადი სახით ფორმულირება ქმნის ეჭვის საფუძველს, რომ გეგმის შედგენისას არ არსებობდა მკაფიო ხედვა და რესურსების ანალიზზე დაფუძნებული შეფასება კონკრეტულად რა სამუშაოების გატარება იყო შესაძლებელი, რომელ დაწესებულებებში უნდა შექმნილიყო ხანგრძლივი ვიზიტებისთვის საჭირო ინფრასტრუტურა და რა რაოდენობის მსჯავრდებულთა უფლებების გაუმჯობესება მოხდებოდა.

შესრულების შეფასება: ადამიანის უფლებების გეგმის ანგარიშის მიხედვით, აღნიშნული საქმიანობა შესრულებულია. კერძოდ, ანგარიშში მითითებულია, რომ 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 ქალთა პენიტენციური დაწესებულების გრძელვადიანი პაემნის 4-ნომრიანი სასტუმროს ტიპის შენობა. რის შემდეგაც, გრძელვადიანი პაემნების სერვისით სარგებლობდნენ №2, №3, №5, №6, №11, №12, №14, №15, №16 და №17 პენიტენციური დაწესებულებების მსჯავრდებულები/ბრალდებულები. გრძელვადიანი პაემნების რაოდენობა 2015 წელს №2 დაწესებულებაში იყო 869; №3 დაწესებულებაში - 44 ; №5 დაწესებულებაში- 2 ; №6 დაწესებულებაში - 167; №8 დაწესებულებაში - 41; №11 დაწესებულებაში - 26; №12 დაწესებულებაში - 208; №14 დაწესებულებაში - 1002; №15 დაწესებულებაში - 1657; №16 დაწესებულებაში - 26; №17 დაწესებულებაში - 1790. სულ გრძელვადიანი ვიზიტით ისარგებლა 5832-მა მსჯავრდებულმა.[25]

დასკვნა: როგორც გეგმის შესრულების ანგარიშიდან ირკვევა, ქალთა დაწესებულებაში მოეწყო ხანგრძილივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ასევე, პაემნებით ისარგებლა 5832-მა მსჯავრდებულმა, თუმცა, ჩაითვლება თუ არა ეს დასახული საქმიანობის წარმატებით შესრულებად, ინდიკატორის მიხედვით შეფასებული ვერ იქნება. აღნიშნული ლოგიკით, ნებისმიერი ტიპის აქტივობა ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით შესაძლოა წარმატებულ საქმიანობად ჩაითვალოს, თუმცა, რა იყო გეგმის შემდგენების ხედვით დასახული მიზანი, ამის გასაზომად ინდიკატორები სრულიად არარელევანტურია. შესაბამისად, შესაძლოა მოცემული საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს.

საქმიანობა 5.1.3.6. თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება.

ინდიკატორი: მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა; საზოგადოებრივი მისაღების მომსახურებით უზრუნველყოფილ ადამიანთა რაოდენობა; საზოგადოებრივ მისაღებებში შენიშვნების ყუთის განთავსება; ყუთში მოთავსებული კომენტარების ანალიზი.

რელევანტურობა: პატიმართა და მსჯავრდებულთა უფლებების გაუმჯობესების კუთხით საზოგადოებრივი მისაღების შექმნა და ამოქმედება რელევანტური საქმიანობაა. ამავდროულად, საქმიანობის შეფასების ინდიკატორები ზოგადია და არ არის გაზომვადი. კერძოდ, არ კონკრეტდება სად და რამდენი საზოგადოებრივი მისაღების შენობა უნდა აშენებულიყო, რამდენი ადამიანის მომსახურება იყო დაგეგმილი და ა.შ.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით, მითითებული საქმიანობა შესრულებულია, კერძოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების უმეტესობა უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი მისაღების შენობებით, №2, №3, №5, №6, №11, №15, №16 №17, №18 და №19 პენიტენციურ დაწესებულებებში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მისაღების შენობები, სადაც განთავსებულია შენიშვნების ყუთი. ანგარიშში მითითებულია, რომ უახლოეს პერიოდში დაგეგმილია ყველა პენიტენციური დაწესებულების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი მისაღების შენობებით.

2015 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მისაღებების მიერ გაწეული მომსახურების სტატისტიკა დაწესებულებების შესაბამისად: №2 - 32210 22644 პირი, №3 - 2712 3454 პირი, №5 - 8866 3878 პირი, №6 - 4220 1698 პირი, №8 - 70086 49270 პირი, №18 5724 1640 41 პირი, №11 - 3007 638 პირი**, №14** - 8472 11205 პირი**, №15** - 23340 19766 პირი, №19 - 1625 1046 პირი, **№16** - 934 374 პირი, **№17** - 31735 25685 პირი (ჯამი - 192,931 141,298 პირი)**.**

25 იქვე, გვ. 40

დასკვნა: შესრულების ანგარიშში საუბარია რომელ დაწესებულებებში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი მისაღებები, თუმცა, მიმდინარე წელს რამდენი საზოგადოებრივი მისაღები ამოქმედდა არ ირკვევა, ასევე არ არის საუბარი რამდენ დაწესებულებაში განთავსდა საჩივრების ყუთი და განხორციელდა თუ არა ყუთში მოთავსებული კომენტარების ანალიზი. საქმიანობა შესრულებულად არის მიჩნეული, თუმცა ინდიკატორების შესაბამისად შესრულების შესახებ რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. გარკვეული საქმიანობის განხორციელება აღნიშნული მიმართულებით გვაფიქრებინებს, რომ საქმიანობა ნაწილობრივ შესრულდა.

საქმიანობა 5.1.3.8. ქალთა, არასრულწლოვანთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილთათვის სპეციალური პირობების შექმნა.

ინდიკატორი: საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, არასრულწლოვნებისა და ქალ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციფიკური საჭიროებების მეტად გამოსაკვეთად; შესწავლის შედეგად გამოვლენილ საჭიროებათა ეტაპობრივი გათვალისწინება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.

რელევანტურობა: სხვადასხვა ჯგუფების საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი ინფრატრუსტურული პროექტების განხორციელება რელევანტური საქმიანობაა, თუმცა, სასურველია ინდიკატორები უფრო კონკრეტულად და რეალისტურად იყოს გადმოცემული. მაგ. დაკონკრეტებული იყოს კონკრეტულად რა ინფრასტრუქტურული პროექტები შეიძლება განხორციელდეს საანგარიშო პერიოდში, რა ეტაპებს მოიცავს განხორციელების გეგმა და ა.შ.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში, აღნიშნული აქტივობა შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესრულებული. გეგმაში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ 2015 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დროს, შენობების სპეციფიკიდან გამომდინარე, მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპეციალური გარემოს შექმნა, შესაბამისი ადაპტირებული ინფრასტრუქტურა მოეწყო №5, №6, №8, №18, №16 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში, ასევე, ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ადაპტირებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ანგარიშის მიხედვით, პენიტენციურ დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა და გონივრული მისადაგების მინიმალური სტანდარტი უზრუნველყოფილია ყველა დაწესებულებაში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის №18, №16, №6 და №5 დაწესებულებებში უზრუნველყოფილია სრულად ადაპტირებული გარემო, სადაც მინიმუმ ერთი საკანი მოეწყო «შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე» საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების შესაბამისი სტანდარტებით. №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სრული დატვირთვით ფუნქციონირებს ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილება. №5 ქალთა დაწესებულებაში სრულად არის უზრუნველყოფილი პრევენციული ჯანდაცვის ღონისძიებები, კერძოდ, ბრალდებულის/მსჯავრდებულის შემოსვლისთანავე უტარდება სხვადასხვა სახის სკრინინგი, მათ შორის: ტუბერკულოზის, ვირუსული ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის სკრინინგული კვლევა. პერიოდულად ტარდება ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგული გამოკვლევები.

ამჟამად მოქმედი არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო №11 დაწესებულება საერთაშორისო სტანდარტების ნორმების შესაბამისად ფუნქციონირებს. დაწესებულება უზრუნველყოფილია სპორტული მოედნებით, ფუნქციონირებს საჯარო სკოლა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პაემნების ოთახები. 2015 წლის განმავლობაში დაწესებულებაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, მოწესრიგდა შიდა ინფრასტრუქტურა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ შეიმუშავა 14-დან 21 წლამდე პირებისათვის დამოუკიდებელი დაწესებულების შექმნის კონცეფცია, პროექტი დამტკიცებულია და მოსამზადებელი სამუშაოები შესრულებულია. აღნიშნული დაწესებულების მშენებლობა შესაძლებელს გახდის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულები/მსჯავრდებულები კიდევ უფრო მაღალი სტანდარტების დაწესებულებაში განთავსდნენ. მოეწყობა მათთვის ადეკვატური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გარემო-პირობები, საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო თუ რესოციალიზაციის პროგრამების განსახორციელებლად სრულყოფილი ინფრასტრუქტურა.[26]

დასკვნა: ვინაიდან ინდიკატორები ზოგადია და ზუსტად არ იძლევა გაწეული სამუშაოს შესრულების შეფასების შესაძლებლობას, საქმიანობა ნაწილობრივ (შესაძლოა სრულადაც) შესრულებულად ჩაითვალოს.

მიზანი 2 (გეგმაში მიზანი 6). წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებთან ბრძოლა.

---

26 იქვე, გვ. 44

ამოცანა 6.2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა და თავისუფლებაშეზღუდულ პირთა საცხოვრებელი პირობებისა და ინსტიტუციური მოპყრობის გაუმჯობესება.

საქმიანობა 6.2.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ადეკვატური მატერიალური პირობების უზრუნველყოფა არსებული მდგომარეობის პერიოდული ანალიზისა და საჭირო ღონისძიებების გატარების გზით.

ინდიკტორი: საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი; ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები.

რელევანტურობა: რაც შეეხება აღნიშნულ მიზანსა და ამოცანას, წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი საკითხია, თუმცა ამ მიმართულებით საცხოვრებელი პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მხოლოდ სხვა კომპლექსურ ღონისძიებებთან ერთიანობაში იქნებოდა შედეგის მომტანი (დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, თანამშრომელთა გადამზადება, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო დოკუმენტირება, მონიტორინგის მექანიზმების დახვეწა და ა.შ).

შესრულების შეფასება: აღნიშნული აქტივობების შეფასებისთვის მითითება კეთდება სხვა ნაწილებში მოცემულ ინფრასტრუქტურულ საქმიანობებზე. მართალია, საქმიანობებში საუბარია ადკეკვატური მატერიალური პირობების უზრუნველყოფაზე, თუმცა, ინდიკატორები ასახელებს მხოლოდ საერთაშორისო დონეზე არსებულ მონიტორინგის შეფასებებს, რაც საქმიანობის შესრულების შესაფასებლად ვერ გამოდგება და ისედაც მეტისმეტად ბუნდოვანია.

დასკვნა: ვინაიდან ინდიკატორებში ინფრასტრუქტურული პროექტებზე საუბარი საერთოდ არ არის, ანგარიშში კი, საქმიანობის შესრულების დასტურად, სწორედ ამ ტიპის პროექტებზე ხდება მითითება, ზუსტი შეფასების გაკეთება საქმიანობის შესრულების თაობაზე რთულია. ვინაიდან თვითონ საქმიანობის/ღონისძიების ნაწილში მითითებული მიმართულებით (მატერიალური პირობების უზრუნველყოფა) გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

გეგმის ზოგადი შეფასება: 2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის გეგმის ზოგადი შეფასების სახით უნდა ითქვას, რომ მართალია, საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებები გეგმაში ასახულია, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება მთელი რიგი საკითხები, რაც იმ პერიოდისთვის აქტუალური იყო და დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებდა. კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიშების (2013-2014 წწ) თანახმად, იყო როგორც ცალკეული ინფრასტრუქტურული საჭიროებები, ასევე შედარებით ზოგადი გამოწვევები (იხ. სახალხო დამცველის რეკომენდაციების ნაწილი). კერძოდ, დაწესებულებებში სასეირნო ეზოების გარემონტებისა და აღჭურვის, დაწესებულებებში სათანადო ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის უზრუნველყოფა, რიგ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების საკითხი, №7 დაწესებულების დახურვა, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან შეხვედრების ოთახის უზრუნველყოფა, სადაც არ განხორციელდებოდა ფარული თვალთავლი, მიყურადება და სხვ.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორების ფორმულირების გამო, თითქმის ყველა საქმიანობის შესრულების, მით უფრო კი, სამიზნე ჯგუფზე საქმიანობების შედეგების ზეგავლენის გაზომვა შეუძლებელია. შესაბამისად, მიზანშეწონილია საქმიანობები და ინდიკატორები განსაზღვრული იყოს უფრო კონკრეტულად, ცალკეული ქმედებებისა და შედეგების გამოთვლის მითითებით, რაც გეგმის შესრულების შეფასებას შესაძლებელს გახდის.

ბ) 2016-2017 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[27]

2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა მოიცავს 5 მიზანს, 8 ამოცანასა და 12 საქმიანობა/ღონისძიებას, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობების საკითხს. ქვემოთ მოცემულია მიზნები მათივე ამოცანებისა და ღონისძიებების მიხედვით:

მიზანი 4.1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

ამოცანა 4.1.2. სასჯელაღსრულებისა დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია.

საქმიანობა 4.1.2.1. მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით.

27 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

ინდიკატორი: ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია სულ ცოტა 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართით.

რელევანტურობა: გადატვირთულობის პრევენცია წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენდა, შესაბამისად, მისი დაძლევის, როგორც ერთ-ერთი ამოცანის დასახვა სრულად შეესაბამება არსებულ პრობლემატიკას, თუმცა, სამწუხაროდ, მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით დღემდე პრობლემას წარმოადგენს. პრობლემურია ასევე საკანონმდებლო დონეზე ბრალდებულთათვის მსჯავრდებულებთან თანასწორი საცხოვრებელი ფართის განსაზღვრის საკითხიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად არსებობს ადგილობრივი კანონმდებლობით განსაზღვრული 4 $მ^2$-ით უზრუნველყოფის პრობლემაც, უფრო მეტად პრობლემურია იმ გაზრდილი სტანდარტის დაკმაყოფილების საკითხი, რომელიც სამომავლოდ ასაშენებლი დაწესებულებებისთვის არის განსაზღვრული წამების პრევენციის კომიტეტის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებში.[28] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საქმიანობა, ფაქტობრივად, გამონაკლისს წარმოადგენს, სადაც ინდიკატორი კონკრეტულად არის ფორმულირებული და ირკვევა, რა მიზანი უნდა იქნას მიღწეული, იმისათვის, რომ შეფასდეს საქმიანობის შესრულების საკითხი.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში ნათქვამია, რომ განსაზღვრული საქმიანობა სრულად იქნა შესრულებული, კერძოდ პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილი იქნა სულ ცოტა 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართით.[29], თუმცა სახალხო დამცველის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ №2, №8, №14, №15, №17 დაწესებულებებში მყოფი პატიმრები 4 $მ^2$ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილნი არ არიან და აღნიშნული რეკომენდაცია 2018 წლის ანგარიშშიც მითითებულია, ამასვე მოწმობს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში, რომელიც ასევე 2018 წლით თარიღდება.

დასკვნა: როგორც სახალხო დამცველის ანგარიშებიდან, ასევე წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიშიდან (2018 წ) ირკვევა, რომ კვლავ არსებობს მსჯავრდებულთა მინიმალური ფართით უზრუნველყოფის პრობლემა, შესაბამისად, საქმიანობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს;

მიზანი 4.2. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების გზით.

ამოცანა 4.2.1. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება.

საქმიანობა 4.2.1.1 საჭიროებისამებრ, სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურული გამართვა და ინვენტარით აღჭურვა, (საშხაპეები, საკანალიზაციო სისტემა, ვენტილაცია, განათება, გათბობის სისტემა, სასეირნო ეზო სავარჯიშო ინვენტარით).

ინდიკატორი: კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები; სახალხო დამცველის ანგარიში.

რელევანტურობა: ინფრასტრუქტურის გამართვა და დაწესებულებების ინვენტარით აღჭურვა რელევანტური ამოცანაა, თუმცა ინდიკატორებში მითითებული არ არის კონკრეტულად რა იგულისხმება ინფრასტრუქტურის გამართვასა და ინვენტარით აღჭურვაში, რომელ დაწესებულებაში რისი შეკეთებაა საჭირო და რომელი დაწესებულების აღჭურვა უნდა განხორციელდეს. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საუბარია მიმდინარე საჭიროებებზე, რომლებიც წინასწარ განსაზღვრული არ ყოფილა.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების შეფასების ნაწილში საუბარია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს სასჯელაღსრულების პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, კერძოდ: განხორციელდა სავენტილაციო, საკანალიზაციო, საშხაპეების და ელექტრო განათებების მოწესრიგება; მოქმედი ნორმების შესაბამისად, მოეწყო სამედიცინო პუნქტები; დაწესებულებები სისტემატიურად მარაგდება სპორტული სავარჯიშო ინვენტარით; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ცხრა პენიტენციურ დაწესებულებაში.

- №2 დაწესებულება - ყველა საკანში კაპიტალურად გარემონტდა სავენტილაციო სისტემა, საშხაპე ოთახები. 2016-2017 წელს, სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო და გარემონტდა სამედიცინო ოთახები;

- №3 დაწესებულება - 2016-2017 წლებში განხორციელდა საკნების სარემონტო სამუშაოები;

28 საყოფაცხოვრებო პირობები პენიტენციურ სისტემაში სამაგიდე კვლევა.

29 ადამიანის უფლებათა გეგმის 2016-2017 წლების საქმიანობის ანგარიში.

- №5 დაწესებულება - აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, 2017 წელს დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა;
- №6 დაწესებულება - მოწესრიგებულია საკნების ვენტილაციის სისტემა. დასრულდა დაწესებულების საშხაპე ოთახებში სავენტილაციო სისტემების მოწყობა. 2017 წელს აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;
- №8 დაწესებულება - სარეჟიმო კორპუსების საკნებში დამონტაჟდა ინდივიდუალური გამწოვები;
- №9 დაწესებულება - გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- №15 დაწესებულება - 2017 წელს მსჯავრდებულთა საკნებში შეიცვალა ონკანები;
- №16 დაწესებულება - გარემონტდა საშხაპე ოთახები, მოეწყო სპორტული აქტივობებისათვის ღია მოედნები;
- №17 დაწესებულება - 2017 წელს ჩატარდა სამედიცინო ოთახების სარემონტო სამუშაოები.[30]

დასკვნა: არსებული ფორმულირებისა და ინდიკატორის პირობებში, ძნელია შეფასდეს, რამდენად უპასუხა განსახორციელებელმა საქმიანობამ არსებულ საჭიროებებს, სრულად შესრულდა თუ ნაწილობრივ, გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა; სახალხო დამცველი თავის 2016 და 2017 წლების ანგარიშში დადებითად აფასებს №8 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობას, ასევე №8 და №14 დაწესებულებებში ვიდეოპაემნისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, თუმცა, მიიჩნევს, რომ ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა ყველა დაწესებულებაში უნდა მოეწყოს.

საქმიანობა 4.2.1.2. ხანგძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ინდიკატორი: ხანგრძლივი პაემანი ხელმისაწვდომია ყველა სათანადო უფლების მქონე მსჯავრდებულისათვის.

რელევანტურობა: როგორც წინა წლების გეგმაში, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა რელევანტური საქმიანობაა. ამჯერად ინდიკატორიც უფრო კონკრეტულად, თუმცა საკმაოდ ამბიციურად არის ფორმულირებული და საუბარია, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ყველა მსჯავრდებულისთვის უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი ხანგრძლივი პაემნების უფლებით სარგებლობა.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში საუბარია, რომ განსაზღვრული ამოცანა უმეტესად შესრულდა, კერძოდ, №8 პენიტენციურ დაწესებულებაში აშენდა და მოეწყო სტანდარტების შესაბამისი ხანგრძლივი პაემნებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.[31] 2016 წლის სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, მართლაც №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოეწყო ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, თუმცა სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მოწყობა დროულად დასრულდეს და ეს საკითხი მოგვარდეს დახურული დიპის დაწესებულებებში, სადაც პრობლემა ისევ აქტუალურია.

დასკვნა: მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მართალია, საუბარია გეგმაში განსაზღვრული საქმიანობის უმეტესად შესრულებაზე, თუმცა არ არის მოცემული ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობამ ერთ დაწესებულებაში რამდენად უზრუნველყო გეგმაში განსაზღვრული საქმიანობისთვის გათვალისწინებული ინდიკატორის შესრულება (მით უფრო, რომ დახურულ დაწესებულებებში აღნიშნულ პრბლემაზე მიუთითებს საქართველოს სახალხო დამცველი).

საქმიანობა 4.2.1.3. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ პატიმართა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა.

ინდიკატორი: სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის რეგულარულად ხორციელდება საჭირო ინვენტარის გადაცემა. სასჯელაღსრულების თითოეული დაწესებულებისათვის გადაცემული ინვენტარის რაოდენობა; ყველა პატიმარი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით.

რელევანტურობა: იხ. 2014-2015 წლების გეგმაში ანალოგიური საქმიანობის რელევანტურობის შეფასების ნაწილი.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშის თანახმად, შესრულებული ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებების მოთხოვნის საფუძველზე სისტემატურად ხდება მათი საჭირო რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით უზრუნველყოფა.[32]

30 იქვე, გვ. 50

31 იქვე, გვ. 51

32 იქვე, გვ. 51

დასკვნა - ისევე როგორც წინა გეგმაში, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ იდნიკატორებისა და საქმიანობის მეტის-მეტად ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, რთულია იმსჯელო რამდენად შეესაბამებოდა არსებული მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს და განხორციელებული საქმიანობა რამდენად ახდენდა ზეგავლენას მსჯავრდებულთა პირობების რეალურ გაუმჯობესებაზე.

ამოცანა 4.2.2. სასჯელაღსრულების ახალი დაწესებულებების მშენებლობა.

საქმიანობა 4.2.2.1. განსაკუთრებული რისკის №6 დაწესებულების სრულად ამოქმედება.

ინდიკატორი: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განსაკუთრებული რისკის №6 დაწესებულება ამოქმედდა, სადაც რისკის შეფასების შესაბამისად ხორციელდება მსჯავრდებულების განთავსება.

რელევანტურობა: ახალი მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა რელევანტური ამოცანაა, ინდიკატორიც გასაგებად და კონკრეტულად არის ფორმულირებული, რაც იძლევა საქმიანობისა და ამოცანის გაზომვის შესაძლებლობას.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში საუბარია, რომ საქმიანობა სრულად იქნა შესრულებული. კერძოდ, 2016 წელს გარემონტდა და გაიხსნა №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულება, რომელშიც განთავსებულნი არიან მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულები.[33]

დასკვნა: საქმიანობა შესაძლოა შეფასდეს, როგორც შესრულებული.

საქმიანობა 4.2.2.2. დაბა ლაითურის განსაკუთრებული რისკის დაწესებულების აშენება.

ინდიკატორი: ანგარიში დაწესებულების მშენებლობის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაბა ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია 2017 წელს და შესულია ექსპლუატაციაში.

რელევანტურობა: ახალი დაწესებულების მშენებლობა რელევანტური ამოცანაა, თუმცა მნიშვნელოვანია დაწესებულების კონცეფციის განსაზღვრა და ორიენტირება მცირე ზომის დაწესებულებებზე. რაც შეეხება ინიდიკატორს, სხვა ინდიკატორებთან შედარებით, უფრო კონკრეტულია და საქმიანობის შესრულების გაზომვა შესაძლებელია.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქმიანობა ნაწილობრივ იქნა შესრულებული. კერძოდ, დასრულდა ადმინისტრაციული, საბადრაგო და რეჟიმის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი შენობები, განხორციელდა რკინა-ბეტონის ღობისა და სარეჟიმო კორპუსის კარკასის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების შესრულების ხარისხზე მიმდინარეობს სასამართლო დავა მშენებელთან, რამაც გამოიწვია შემდგომ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოების შეფერხება.[34]

დასკვნა: თუ გავითვალისწინებთ, რომ დაწესებულება დაბა ლაითურში დღემდე არ არის შესული ექსპლუატაციაში, მოცემული საქმიანობა, რომლის ინდიკატორი იყო 2017 წელს დაწესებულების ექსპლუატაციაში შესვლა, შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

საქმიანობა 4.2.2.3. 14-21 წლამდე მსჯავრდებულებისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალიზებული სარეაბილიტაციო დაწესებულების მშენებლობის დაწყება.

ინდიკატორი: ანგარიში დაწესებულების მშენებლობის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ.

რელევანტურობა: აღნიშნული საქმიანობა შესაძლებელი იქნებოდა რელევანტურად ჩაგვეთვალა, თუ ახალი დაწესებულების მშენებლობისას გათვალისწინებული იქნებოდა არასრულწლოვანთა საჭიროებები რეინტეგრაციის, რეაბილიტაციის, განათლების კუთხით. შეიქმნებოდა დაწესებულების ინფრასტრუქტურისა და დაგეგმარების კონცეფცია, რომელიც ნათლად წარმოაჩენდა ახალი დაწესებულების პოზიტიურ გავლენას არასრულწლოვანი და ახალგაზრდა მსჯავრდებულების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. რაც შეეხება ინდიკატორს, მითითებული არ არის რა ტიპის პროგრესი ჩაითვლება საქმიანობის შესრულებად, შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორით არც შესრულების და მით უფრო არც სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის ზეგავლენის გაზომვა არ არის შესაძლებელი.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში მოცემული საქმიანობა აღნიშნულია როგორც შეუსრულებელი. ანგარიშში აღნიშნულია,რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2017 წლის 7

33 იქვე, გვ. 52

34 იქვე, გვ. 52

ივლისის №3107 ბრძანების საფუძველზე, 14-დან 21 წლამდე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საჭიროებებსა და ეფექტურ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ახალი პენიტენციური დაწესებულების კონცეფციის განახლებისა და სათანადო პროექტის შემუშავების მიზნით, დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სამინისტროს, ევროკავშირისა და UNICEF-ის წარმომადგენლებით. 2017 წლის მეორე ნახევრიდან აქტიურად მიმდინარეობდა UNICEF-ის მიერ სპეციალურად მოწვეული ექსპერტის რეკომენდაციაზე მუშაობა, რომლის მიხედვითაც, ახალი დაწესებულების მშენებლობის ნაცვლად, უკვე არსებული არასრულწლოვანთა №11 პენიტენციური დაწესებულების რეკონსტრუქცია უნდა განხორციელებულიყო.

დასკვნა: მოცემული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ გეგმის შედგენისას კარგად არ განხორციელდა საჭიროებების შეფასება, არ იქნა შეფასებული ახალი დაწესებულების მშენებლობის ხარჯთეფექტურობა, რასაც მოგვიანებით მოყვა აღნიშნული გეგმის შეცვლა და არსებული დაწესებულების გაუმჯობესებაზე კონცენტრირება. თუმცა გარკვეული ხარჯები დაწესებულების მშენებლობის მიმართულებით მაინც იქნა გაწეული.

საქმიანობა 4.2.2.4. №7 დაწესებულების რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდიკატორი: ანგარიში დაწესებულების რეაბილიტაციის პროცესში არსებული პროგრესის შესახებ.

რელევანტურობა: როდესაც აღნიშნული საქმიანობის რელევანტურობაზე ვსაუბრობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წლების მანძილზე ომბუდსმენი აღნიშნავდა, რომ №7 დაწესებულება რეკონსტრუქციასა და რემონტს აღარ ექვემდებარება და საჭირო იყო მისი დახურვა. შესაბამისად, მოცემული საქმიანობა ბოლომდე რელევანტურად და მსჯავრდებულთა უფლებებზე ორიენტირებულად ვერ ჩაითვლება. ასევე გაუგებარია ინდიკატორიც, კერძოდ, ვის მიერ მომზადებულ რეაბილიტაციის პროგრეს ანგარიშზეა საუბარი და რა პროგრესის მიღწევა იყო დასახული მიზნად საქმიანობის დაგემვისას.

შესრულების შეფასება: რაც შეეხება შესრულების ნაწილს, გეგმის შესრულების ანგარიშში საქმიანობა მითითებულია როგორც უმეტესად შესრულებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამინისტრო აქტიურად მუშაობს №7 პენიტენციური დაწესებულების გაუქმებაზე, რისთვისაც ერთ-ერთი პენიტენციურ დაწესებულების ტერიტორიაზე განხორციელდა სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სადაც განთავსდება №7 პენიტენციური დაწესებულება. ამ დროისათვის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია, მოეწყო საკნები, ციხე აღიჭურვა საჭირო ინვენტარით. დასრულებულია ენერგო მატარებლების, წყლისა და წყალარინების სამუშაოები. 2017 წელს მოეწყო, აღიჭურვა და გარემონტდა საჩხრეკი და ანტივანდალური ოთახები, ასევე განხორციელდა საკნების კოსმეტიკური რემონტი. 2017 წელს დასრულდა ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.[35]

დასკვნა: შეფასების ანგარიშში საუბარია ახალი დაწესებულების მშენებლობის საკითხებზე, რომლის შედეგადაც განხორციელდა ახალი №7 დაწესებულების მშენებლობა. რაც შეეხება №7 დაწესებულების სარემონტო სამუშაოებს და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეკონსტრუქციას, ინფორმაცია ასახული არ არის. შესაბამისად, რთულია შეფასება, შესრულდა თუ არა გეგმით განსაზღვრული №7 დაწესებულების რეაბილიტაცია.

მიზანი 4.3. თავისუფლებააღკვეთილთა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაუმჯობესება.

ამოცანა 4.3.1. საზოგადოებრივი მისაღების მომსახურების გაუმჯობესება.

საქმიანობა 4.3.1.1. საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებებში, სადაც არ ფუნქციონირებს.

ინდიკატორი: წელიწადში ერთი დამატებითი საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება.

რელევანტურობა: რაც შეეხება საზოგადოებრივი მისაღებების ამუშავებას, აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია და ნამდვილად პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებისა და საზოგადოების მომსახურეობის გაუმჯობესების კუთხით. ინდიკატორიც შედარებით კონკრეტულად არის ფორმულირებული, თუმცა მოცემული აქტივობა საკმაოდ ნელი ტემპებით მიმდინარეობდა და იგი ასახული იყო წინა წლების სამოქმედო გეგმაშიც.

შესრულების შეფასება: ანგარიშში საქმიანობა განსაზღვრულია როგორც უმეტესად შესრულებული. კერძოდ, 2017 წელს დასრულდა მშენებლობა და ექსპლუატაციაში შევიდა გეგუთის №14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. დაგეგმილი იყო №12 პენიტენციური დაწესებულების №16 დაწესებულების ბაზაზე გადატანა. აღნიშნული იყო, რომ №16 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები მოემსახურებოდა №12 დაწესებულებასაც.

35 იქვე, გვ. 57

დასკვნა: როგორც წინა, ასევე ამ გეგმაშიც, საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება შეფასდეს. ინდიკატორის მიხედვით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ საქმიანობა შესრულებულია, თუმცა თავად საქმიანობის ფორმულირებით, ის შესრულებულად ჩაითვლება, მაშინ როდესაც ყველა დაწესებულებაში ამოქმედდება საზოგადოებრივი მისაღები.[36]

მიზანი 4.6. პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.

ამოცანა 4.6.5. პატიმარ ქალთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების შემდგომი გაუმჯობესება „ბანგკოკის წესების" შესაბამისად.

საქმიანობა 4.6.5.4. გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (საშხაპეები).

ინდიკატორი: მოხსენება/ანგარიში განხორციელებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შესახებ.

რელევანტურობა: პატიმართა განსაკუთრებული კატეგორიების უფლებების დაცვა, მართალია, რელევანტური მიზანია, ასევე რელევანტურია გენდერული სპეციფიკის გათვალისწინებით ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც, თუმცა, როგორც სხვა საქმიანობების განსაზღვრისას, მოცემულ აქტივობაშიც ინდიკატორით შეუძლებელია საქმიანობის შესრულების გაზომვა. გაუგებარია, ვის მოხსენებაზე ან ანგარიშზეა საუბარი ინდიკატორში, ასევე არ არის მითითებული რამდენი ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი, თუ საშხაპის მოწყობა ჩაითვლება მიზნის მიღწევის საშუალებად.

შესრულების შეფასება: ანგარიშში საქმიანობის სტატუსი მითითებულია როგორც სრულად შესრულებული, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ქალთა №5 დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საკნები, საშხაპეები და აღიჭურვა განახლებული სავენტილაციო სისტემებით; თანამედროვე სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, კაპიტალურად გარემონტდა სამედიცინო დანიშნულების ოთახები; დაწესებულების გარშემო დასრულდა უსაფრთხოების დამატებითი დამცავი ბარიერის, ე.წ „ბუფერული" ზონის მოწყობა; ასევე, დაწესებულებაში მოეწყო ფიტნესის ოთახები. ქალი პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენის საშუალებებით, რაც დარეგულირებულია დაწესებულების დებულებით.[37]

დასკვნა: საქმიანობის შესრულების ინდიკატორის მიხედვით განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა თავად საქმიანობის ფორმულირების შესაბამისად, შესაძლოა საქმიანობა შესრულებულად ჩაითვალოს.

ამოცანა 4.6.7. პატიმარ ქალთა პირადი ცხოვრების უფლება.

საქმიანობა 4.6.7.1. №5 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნებისათვის შექმნილი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად ამოქმედება.

ინდიკატორი: №5 დაწესებულებაში განხორციელებული გრძელვადიანი პაემნების სტატისტიკური მაჩვენებელი.

რელევანტურობა - ქალების გრძელვადიანი პაემნებით უზრუნველყოფა აქტუალური საქმიანობაა, თუმცა ინდიკატორში საუბარია არა გრძელვადიანი პაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე, არამედ პაემნების სტატისტიკურ მაჩვენებელზე, ამავდროულად არ არის დაკონკრეტებული, რა მაჩვენებლის მიღწევა იგეგმება და რა ჩაითვლება საქმიანობის შესრულებად.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში მითითებულია, რომ საქმიანობა სრულად შესრულებულია, კერძოდ, 2015 წლის 31 დეკემბრიდან ქალთა №5 პენიტენციურ დაწესებულებაში ქალ მსჯავრდებულებს უკვე მიეცათ შესაძლებლობა, ესარგებლათ ხანგრძლივი პაემნის უფლებით. 2016 წელს განხორციელდა 34 ხანგძლივი პაემანი, ხოლო 2017 წლის განმავლობაში - 71 ხანგრძლივი პაემანი.

დასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ ინდიკატორი ბუნდოვანია და არ იძლევა საქმიანობის გაზომვის შესაძლებლობას, ვინაიდან პაემნების ინფრასტრუქტურა ამოქმედდა და ქალებს მიეცათ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის შესაძლებლობა, საქმიანობა შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.[38]

ამოცანა 4.6.9. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის სპეციალური, ადაპტირებული საცხოვრებელი პირობების შექმნა.

საქმიანობა 4.6.9.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის საჭიროებათა შესწავლა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ადაპტირებული ფიზიკური გარემოს შექმნა გონივრული მისადაგების გათვალისწინებით.

36 იქვე, გვ. 53

37 იქვე, გვ. 74

38 იქვე, გვ. 78

ინდიკატორი: ჩატარებული შესწავლის შედეგად გამოვლენილია საჭიროებები; ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია ადაპტირებული ფიზიკური გარემო; გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა.

რელევანტურობა: შშმ პირებისათვის პენიტენციური დაწესებულებების ადაპტირება აქტუალური საკითხია. ინდიკატორის სახით განსაზღვრულია ადაპტირებული ფიზიკური გარემოს გათვალისწინება და ინფრასტრუქტურული პროექტების მოცულობა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რომელ დაწესებულებაში რა პროექტი უნდა განხორციელებულიყო (სავარაუდოდ, ამის განსაზღვრა უნდა მომხდარიყო არსებული ინფრასტრუქტურის შესწავლის შემდეგ), თუმცა არც ის ყოფილა აღნიშნული რამდენი პროექტის განხორციელება ჩაითვლებოდა საქმიანობის წარმატებულად შესრულებად.

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში საქმიანობის შესრულების სტატუსი მითითებულია როგორც უმეტესად შესრულებული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ №18 მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ფუნქციონირებს ხანგრძლივი მოვლის პირთა განყოფილება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული საცხოვრისი, სადაც დანერგილია მოვლის სერვისი. განყოფილება აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, შშმ პირებს ჰყავთ მომვლელები და აქვთ ადაპტირებული გარემო. ბენეფიციართათვის ხელმისაწვდომია გრძელვადიანი მოვლის სერვისი. ცენტრში ფუნქციონირებს სარეაბილიტაციო ოთახი, რომელიც აღიჭურვა ფიზიოაპარატით და სპეციალური სარეაბილიტაციო ტრენაჟორებით. აღნიშნულ განყოფილებაში მოხვედრის მთავარი კრიტერიუმია სტანდარტულ პირობებში დამოუკიდებლად ცხოვრების მნიშვნელოვანი შეზღუდვა.

დაწესებულების სოციალური განყოფილების სოციალური მუშაკის დახმარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფილია ინფორმაციის მისაწვდომობა და მისი სათანადო ფორმით მიწოდება. დაწესებულების სოციალური მუშაკის ან/და დაწესებულების ბიბლიოთეკაში დასაქმებული მსჯავრდებულის მეშვეობით, პენიტენციური დაწესებულებების ბიბლიოთეკები და არსებული წიგნების კატალოგი ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ასევე, ყველა პენიტენციური დაწესებულების ბიბლიოთეკა აღჭურვილია აუდიო-წიგნებით. პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს, მისი შეზღუდული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ეძლევა შესაძლებლობა იქონიოს და ისარგებლოს საჭირო სპეციალური მოწყობილობით. პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ ყველა მსჯავრდებულს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, აქვთ თანაბარი შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებში.[39]

დასკვნა: შესრულების ანგარიშიდან არ იკვეთება, რამდენად განხორციელდა ინდიკატორში მითითებული საჭიროებათა შესწავლა და რამდენად იქნა უზრუნველყოფილი განხორციელებული აქტივობებით გამოვლენილი საჭიროებების დაკმაყოფილება, ინდიკატორში ასევე მითითებული არ არის ინფრასტრუქტურული პროექტების რა მოცულობა ჩაითვლებოდა საქმიანობის შესრულებად, შესაბამისად, რთულია შეფასდეს რამდენად წარმატებული იყო საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით. თუმცა, ვინაიდან გარკვეული აქტივობები მაინც განხორციელდა შშმ პირთა უფლებების გაუმჯობესებისათვის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით, საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მიზანი 5. წამებასა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფორმებთან ბრძოლა.

ამოცანა 5.1.3. დაკავებულ/პატიმრობაში მყოფ/თავისუფლებაშეზღუდულ/ თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარიული და სხვა პირობების შექმნა.

საქმიანობა 5.1.3.1. სასჯელაღსრულების სამინისტროს დაწესებულებების, დროებითი მოთავსების იზოლატორების, სანიტარიული, ჰიგიენური, კვებითი და სხვა მატერიალური პირობების გაუმჯობესება.

ინდიკატორი: გაუმჯობესებულია მატერიალური პირობები და ინფრასტრუქტურა; ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედი მონიტორინგის მექანიზმების შეფასებები და რეკომენდაციები; რეაბილიტაციას დაქვემდებარებული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის თანაფარდობა ქვეყანაში არსებული დაწესებულებების საერთო რაოდენობასთან.

რელევანტურობა: რაც შეეხება მეხუთე მიზანს, წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის კუთხით, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, თუმცა, არა ერთადერთ ფაქტორს წარმოადგენს, რაც წინა წლის გეგმის ანალიზის დროსაც იქნა აღნიშნული. ინდიკატორად მოცემულია მონიტორინგის შეფასებები და რეკომენდაციები, ასევე მითითებულია, რომ საქმიანობა უნდა შეფასდეს რეაბილიტირებული დაწესებულებების შეფარდებით დაწესებულებების საერთო რაოდენობასთან, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტულად როგორი თანაფარდობაა გეგმით გათვალისწინებული.

39 იქვე, გვ. 80

შესრულების შეფასება/დასკვნა: ანგარიშში აღნიშნული საქმიანობის სტატუსი მითითებულია როგორც უმეტესად შესრულებული. ანგარიშის ამ ნაწილში ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ შსს-ს იზოლატორების ნაწილში, შესაბამისად, რამდენად იქნა საქმიანობა შესრულებული პენიტენციური სისტემის ნაწილში, შეფასება რთულია. თუმცა გეგმიდან ჩანს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები პენიტენციურ სისტემაშიც განხორციელდა, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმიანობა ნაწილობრივ შესრულებულია.

გეგმის ზოგადი შეფასება: რაც შეეხება 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა გეგმის ზოგად შეფასებას, მართალია, გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, თუმცა ისინი სრულად ვერ პასუხობდა იმ პერიოდისთვის არსებულ სასჭიროებებს. კერძოდ, ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, №7 დაწესებულება, ფაქტობრივად, არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას და გაიცემოდა რეკომენდაცია მისი დახურვის შესახებ, თუმცა გეგმაში საუბარია არა დახურვაზე, არამედ მის საფუძვლიან გარემონტებაზე. ასევე არ არსებობდა არასრულწლოვანთა დაწესებულების დეტალური კონცეფცია, სადაც გაწერილი იქნებოდა დაწესებულების იმგვარად დაპროექტების დეტალები, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო არასრულწლოვანთა განათლების, რეინტეგრაციისა და სხვა სპეციფიური საჭიროებები. შესაბამისად, რთულია ახალი დაწესებულების მშენებლობის საჭიროებისა და არასრულწლოვანთა განთავსების საკითხის შეფასება. საბოლოო ჯამში, არასრულწლოვანთა დაწესებულება არათუ არ აშენებულა, არამედ მისი მშენებლობა პენიტენციური სამსახურის მიერ შემუშავებულ ბოლო გეგმაში საერთოდ აღარ არის და აქცენტი არსებული დაწესებულებების გაუმჯობესებაზე კეთდება. კვლავ პრობლემური იყო ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის შექმნა და პატიმართა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების, განათების, ვენტილაციის პრობლემები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი საქმიანობებიდან სრულყოფილად ვერცერთი ვერ განხორციელდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გეგმა და მასში ასახული საჭიროებების შეფასება არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დაწესებულებების მშენებლობაზე საუბრისას მცირე ზომის დაწესებულებებზე გადასვლის მნიშვნელობაზე მხოლოდ სტრატეგიაშია საუბარი, გეგმებში კონკრეტული დაწესებულებების მოცულობა ნახსენები არ არის, თუმცა პენიტენციური სისტემის ბოლო (2019-2020) წლების გეგმაში მცირე ზომის პენიტენციურ დაწესებულებებზე გადასვლა კვლავ მნიშვნელოვან პრიორიტეტად სახელდება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განხორციელებული ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტებისა, სრულად არ მოგვარებულა ისეთი აქტუალური პრობელემბი, როგორიცაა დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მსჯავრდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა (თუმცა ეს საქმიანობა ანგარიშში სრულად შესრულებულად არის მითითებული), ეზოების მოწყობის საკითხი, განათებისა და ვენტილაციის პრობლემა, ბარაკული ტიპის საცხოვრებლებში პრივატულობის პრობლემა და სხვ.

რაც შეეხება გეგმების სტრუქტურას, ის ისევეა ფორმულირებული, როგორც წინა ორწლიანი ადამიანის უფლებათა გეგმა და ფაქტობრივად, იგივე გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევებია ინდიკატორების ზოგადი ფორმულირება, რაც არ იძლევა საქმიანობის შესრულებისა და სამიზნე ჯგუფზე მისი ზეგავლენის გაზომვის შესაძლებლობას. რაც შეეხება საქმიანობების შესრულებას, თუ ერთმანეთს შევადარებთ სახალხო დამცველის შესაბამისი წლების ანგარიშებსა და ადამიანის უფლებათა გეგმის შესრულების ანგარიშებს, შევამჩნევთ, რომ გარკვეული შეუსაბამობები არსებობს და ის საკითხებიც კი, რომლებიც გეგმებში სრულად მოგვარებულად არის მითითებული, კვლავ არ კარგავს აქტუალობას.

გ) 2018-2020 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა[40]

გეგმა მოიცავს პენიტენციურ სისტემაში საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებულ 3 მიზანს, 4 ამოცანასა და 5 საქმიანობას. ქვემოთ ამოცანები და საქმიანობები დაჯგუფებულია მიზნების მიხედვით:

მიზანი 4.1. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებების დაცვა საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

მოცანა 4.1.2. პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის პრევენცია.

ინდიკატორი: მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით.

საქმიანობა: ყველა მსჯავრდებულის უზრუნველყოფა მინიმუმ 4 m^2 საცხოვრებელი ფართით მრავალადგილიან საკნებში და მინიმუმ 6 m^2 საცხოვრებელი ფართით ერთადგილიან საკანში.

რელევანტურობა: უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული მიზანი გათვალისწინებული იყო წინა გეგმებშიც, შესრულების ნაწილში მითითებული იყო, რომ მიზანი მიღწეულ იქნა, თუმცა როგორც ვხედავთ, საკითხის მოგვარება არ მომხდარა და მისი გათვალისწინება საჭირო გახდა 2018-2020 წლების გეგმაშიც. მითითებულ მიზანთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამჯერად მინიმალური ფართის სახით მითითებულია წამების პრევენციის კომიტეტის მიერ დადგენილი ახლებური, გაუმჯობესებული სტანდარტი, რაც სამაგიდე კვლევის პარალელურად

40 http://myrights.gov.ge/ka/documents/action%20plans%201

ადასტურებს, რომ აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა ვერაფრით მოხერხდა, კვლავ მეორდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინვენტარითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის პრობლემატიკაც.

ამოცანა 4.1.3. საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

ინდიკატორი: განხორციელებული კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, შიდა და გარე მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადაცემული საჭირო ინვენტარის რაოდენობა, ყველა მსჯავრდებული უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი საჭირო ინვენტარით. 1. პენიტენციურ სისტემაში განთავსებულ მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა კანონმდებლობით გათვალისწინებული რბილი ინვენტარითა და აუცილებელი, პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით რეგულარულად უზრუნველყოფა; 2. საჭიროებიდან გამომდინარე, არსებული ინფრასტრუქტურის განახლება და ახალი პროექტების შემუშავება.

რელევანტურობა: რაც შეეხება ინფრასტურქტურის საჭიროებიდან გამომდინარე განახლებასა და ახალი პროექტების შემუშავებას, ამგვარი ფორმულირება მეტისმეტად ზოგადია. გარდა იმისა, რომ ფაქტობრივად, მისი შესრულების შეფასება შეუძლებელია ინდიკატორების საშუალებით (არასაკმარისი კონკრეტულობის გამო), იმდენად განუსაზღვრელად არის ფორმულირებული, რომ შესრულება წარმოუდგენელია, ან ნებისმიერი ნაბიჯი ამ მიმართულებით საქმიანობის შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს (მაგ. ერთი დაწესებულების გარემონტებაც კი), რაც თავისთავად საბოლოო მიზნისა და ამოცანის მიღწევისთვის სრულიად არარელევანტურია.

მიზანი 4.2. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე (მოწყვლადი) ბრალდებულების/მსჯავრდებულების უფლებების დაცვის უზრუნველყოფა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში.

ამოცანა 4.2.2. პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობების მორგება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ სჭიროებებზე.

ინდიკატორი: პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი და ყოფითი პირობები მორგებულია ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა განსაკუთრებულ საჭიროებებზე.

საქმიანობა 4.2.2.1. პენიტენციურ სისტემაში მყოფი ქალი ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციფიკური საჭიროებების შეფასება და გამოვლენა.

საქმიანობა 4.2.2.3. შშმ პირების საჭიროების გათვალისწინებით კომპაქტურად განთავსების ადგილებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

რელევანტურობა: მოცემული მიზანი უკვე მესამედ მეორდება ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმაში, რაც მიუთითებს, რომ მისი მიღწევა წლების მანძილზე ვერ ხერხდებოდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ დროის პერიოდს (ფაქტობრივადმ 4 წელს) მოცემული ამოცანები მნიშვნელოვნად მიღწევადი იყო. იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობის გარკვეული ნაწილი სრულდებოდა, მაგრამ კვლავ შესასრულებელი რჩებოდა აღნიშნული მიმართულებით დამატებითი აქტივობები, ამის შესახებ უფრო კონკრეტულად უნდა ყოფილიყო ჩაწერილი ახალ სამოქმედო გეგმებში. წონააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველისთვის გაურკვეველი რჩება, რატომ ხდება ერთი და იმავე საქმიანობის დაუსრულებლად გამეორება ზედიზედ სამ სამოქმედო გეგმაში.

მიზანი 16.3. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ამოცანა 16.3.2. ბავშვზე მორგებული გარემოს შექმნა.

ინდიკატორი: სასჯელაღრსულების სისტემა მოდერნიზებულია ბავშვთა და ახალგაზრდათა უფლებების რეალიზაციის კონცეფციის შესაბამისად.

საქმიანობა 16.3.2.4. სასჯელაღსრულების სისტემაში არასრულწლოვანთა დაწესებულებების მოდერნიზაცია.

რელევანტურობა: უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვთა უფლებები ყოველთვის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს, თუმცა გეგმების ქრონოლოგიას თუ გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ინფრასტრუქტურის მიმართულებით, არსებული გეგმები შეიცვალა და არასრუწლოვანთა და 21 წლამდე ახალგაზრდა მსჯავრდებულთა ახალი დაწესებულების მშენებლობის ნაცვლად, იგეგმება არსებული დაწესებულებების მოდერნიზაცია. შესაბამისად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ამ მიმართულებით იქნა გაწეული (სავარაუდოდ, გარკვეული ხარჯის გაწევის მიმართულებითაც) ამ ეტაპზე, ფუჭი აღმოჩნდა.

გეგმის ზოგადი შეფასება: ისევე, როგორც წინა წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმები, 2018-2020 წლების გეგმაც, ფაქტობრივად, იმეორებს წინა წლების აქტივობებს, კერძოდ, რბილი ინვენტარით და სხვა საჭირო ნივთებით მსჯავრდებულთა აღჭურვას, საჭიროებიდან გამომდინარე, სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას, გადატვირთულობის აღმოფხვრას, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი

ფართით უზრუნველყოფის საკითხს და სხვ. თუმცა სიახლის სახით, აღნიშნულია, რომ აღარ იგეგმება ორხევში არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა და სანაცვლოდ მოხდება არსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მოდერნიზება.

რაც შეეხება ინდიკატორებს, მართალია, მათი ფორმულირება იდეალური არ არის, თუმცა წინა წლებთან შედარებით, ცოტა უფრო კონკრეტულია. ბიუჯეტის გრაფა კვლავ ცარიელია, თუმცა პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები განსაზღვრულია.

დ) სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის სამოქმედო გეგმა[41]

რაც შეეხება 2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმას, ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით, რეციდივის შემცირების მიზნის ქვეშ გაერთიანებულია პრიორიტეტი - სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის, რომელშიც შედის პროგრამა 6.3. - პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ქმედება: რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით აღჭურვილია ბრალდებულები/მსჯავრდებულები.

ინდიკატორი /საქმიანობები: პატიმრობის პირობების გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი.

შესრულების შეფასება: პროგრამის შესრულების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვეპროგრამების შესრულების ნაწილში.

ქვეპროგრამა 6.3.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკის და საჭიროების დაწესებულებები.

განსახორციელებელი ქმედებებია: 1. გაგრძელდა დაბა ლაითურის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ტიპის დაწესებულების მშენებლობა; 2. გაგრძელდა სასჯელაღსრულების ორხევის ახალი დაწესებულების მშენებლობის სამუშაოები.

ინდიკატორი/საქმიანობა - რისკებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე ბრალდებულ/მსჯავრდებულთა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი.

რელევანტურობა: ახალი დაწესებულებების მშენებლობა თავისთავად რელევანტური საქმიანობაა, თუმცა მშენებლობა და დაგეგმვა უნდა ეფუძნებოდეს საჭიროებების შესწავლას და საჭიროების შეფასება უნდა მოხდეს ხანგრძლივი პერსპექტივის გათვალისწინებით. შესაბამისად, დაწესებულებების მშენებლობისთვის ხარჯის გაწევა გამართლებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, თუ დაწესებულების მშენებლობა დასრულდება. რაც შეეხება ინდიკატორს, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ქვეპროგრამა აერთიანებს კიდევ ორ საქმიანობას, რომელიც ეხება რისკების შეფასებას და არ უკავშირდება ინფრასტრუქტურულ საკითხებს. ინდიკატორებიც მხოლოდ მათ გასაზომად არის გადმოცემული და მშენებლობის კუთხით საქმიანობის შესრულების შესახებ ცალკე ინდიკატორი მოცემული არ არის. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ინდიკატორისა და საქმიანობის ერთად დაჯგუფება სტრუქტურის მხრივ გაურკვევლობას იწვევს, მით უფრო, როდესაც ცალკე გადმოცემულია განსახორციელებელი ქმედება. ლოგიკურად, ქმედება და საქმიანობა ძირითადად მსგავსად უნდა იყოს ფორმულირებული და ნათლად განსაზღვრავდეს რა აქტივობები უნდა განხორციელდეს გეგმის შესასრულებლად, მაშინ, როდესაც ინდიკატორი უნდა აღწერდეს რა შედეგი ჩაითვლება გეგმის შესრულებად, როგორ უნდა მოხდეს საქმიანობის წარმატებულად შესრულების გაზომვა. შესაბამისად, ინდიკატორისა და საქმიანობის გაიგივება გარკვეულ გაუგებრობას ქმნის.

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შეიქმნა სხვადასხვა რისკისა და საჭიროების დაწესებულებები. დასრულდა ლაითურის ახალი დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო-სარემონტო და ძირითადი სარეჟიმო კორპუსის შავი კარკასის სამშენებლო სამუშაოები.[42]

დასკვნა: როგორც ვხედავთ, (მნიშვნელოვანი) ხარჯები ლაითურის სამშენებლო სამუშაოებისთვის გაწეული იქნა 2015 წელს, თუმცა ლაითურის დაწესებულება დღემდე არ დასრულებულა და ამოქმედებულა. ამასთან, შესრულების ნაწილში არაფერია ნათქვამი ორხევის დაწესებულების მშენებლობის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქმიანობა სრულად შესრულებული არ ყოფილა და 2015 წლის მანძილზე მხოლოდ ლაითურის დაწესებულების მშენებლობა გაგრძელდა.

41 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

42 სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 37

ქვეპროგრამა 6.3.2. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა.

განსახორციელებლი ქმედებები: არსებული დაწესებულებები ყოველწლიურად უზრუნველყოფილია რემონტ-რეკონსტრუქციით და დამატებითი აღჭურვით, შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით, საჭიროებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი/საქმიანობა: გარემონტებული და აღჭურვილი დაწესებულებების რაოდენობა.

რელევანტურობა: პენიტენციური დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა რელევანტური საქმიანობაა, თუმცა ინდიკატორი ზოგადია, მითითებულია, რომ საქმიანობის გასაზომად უნდა მოხდეს გარემონტებული დაწესებულებების დათვლა, თუმცა, რა რაოდენობა ჩაითვლება საქმიანობის შესრულებად, დაკონკრეტებული არ არის.

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის გეგმის შესრულების ანგარიშში მითითებულია, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ 2014 წელს სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში ჩატარდა მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მსჯავრდებულთა/ბრალდებულთა საცხოვრებელი პირობები, კერძოდ, სარემონტო სამუშაოები ჩატარდა დაწესებულებების სამედიცინო პუნქტებში, მოეწყო პირველადი ჯანდაცვის (გარემონტდა საშხაპეები, საკნები, საცხოვრებელი კორპუსები, დაწესებულებების ეზოებში მოეწყო დამატებითი გამწვანების ზონები).[43]

დასკვნა: როგორც ვხედავთ, საქმიანობის შესრულების მიზნით, 2015 წელს გატარდა გარკვეული სამუშაოები, თუმცა რამდენად შეიძლება განსახორციელებელი საქმიანობა სრულად შესრულებულად ჩაითვალოს, ამის გაზომვის შესაძლებლობას მოცემული ინდიკატორი არ იძლევა. ამასთან, სახალხო დამცველი შესაბამისი წლის ანგარიშში კვლავაც საუბრობს არაერთ მნიშვნელოვან საჭიროებაზე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. საჭიროებები იყო, მაგრამ ყველა მათგანის მოგვარება ვერ მოხერხდა.

ქვეპროგრამა 6.3.4. სასჯელაღსრულების სისტემაში განთავსებულ პატიმართა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით.

განსახორციელებელი ქმედება: პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით.

ინდიკატორი/საქმიანობები: რბილი ინვენტარითა და აუცილებელი პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფილ პატიმართა პროცენტული რაოდენობა.

რელევანტურობა: რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენური საშუალებებით პატიმრების უზრუნველყოფა რელევანტური ქმედებაა, თუმცა ინდიკატორში მითითებული არ არის, რა პროცენტრული მაჩვენებელი ჩაითვლებოდა გეგმის შესრულებად, ასევე, როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული პროცენტის გამოთვლა.

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის 2015 წლის ანგარიშის თანახმად, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100% უზრუნველყოფილია რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი საჭირო საშუალებებით.[44]

დასკვნა: მართალია, ანგარიშში საუბარია, რომ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 100% უზრუნველყოფილია რბილი ინვენტარითა და ჰიგიენისთვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით, თუმცა, რა ინტენსივობით ხდება მათი უზრუნველყოფა და რამდენად საკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ პატიმრებს პირადი მოხმარების ნივთები, მითითებული არ არის. ანგარიშის მიხედვით, განსაზღვრული საქმიანობა სრულად არის შესრულებული.

ქვეპროგრამა 6.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

განსახორციელებელი ქმედება: გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა სასჯელაღსრულების ერთ დაწესებულებაში.

ინდიკატორები/საქმიანობა: გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლება აღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

რელევანტურობა: გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა რელევანტური საქმიანობაა. ასევე, შედარებით გასაგებად არის ფორმულირებული რა საქმიანობა უნდა განხორციელებულიყო გეგმის შესასრულებლად, თუმცა ინდიკატორის ფორმულირება ზოგადი და ბუნდოვანია.

43 იქვე, გვ. 38

44 იქვე, გვ. 38

შესრულების შეფასება: გრძელვადიანი ვიზიტებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა შეიქმნა სასჯელაღსრულების №3 დაწესებულებაში. ასევე №12 დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელია ერთდროულად განხორციელდეს სამი გრძელვადიანი შეხვედრა.[45]

დასკვნა: ქმედება სრულად იქნა შესრულებული (გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ინფრასტრუქტურა შეიქმნა ორ დაწესებულებაში). რაც შეეხება ქვეპროგრამის მიზნის მიღწევას და საქმიანობის ზეგავლენას სამიზნე ჯგუფზე, ინდიკატორების ფორმულირებიდან გამომდინარე, აღნიშნულის შეფასება შეუძლებელია.

გეგმის ზოგადი შეფასება: რაც შეეხება ზოგადად გეგმის შეფასებას, სისხლის სამართლის რეფორმის გეგმა ძირითადად ეხმიანება ამავე წლის ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმას, ფაქტობრივად, აქტივობებიც მსგავსია, თუმცა, როგორც სამთავრობო გეგმის ნაწილში, აქაც უნდა ითქვას, რომ სრულად არ ყოფილა გათვალისწინებული ის საჭიროებები, რაც იმ პერიოდისთვის არსებობდა. მაგალითად, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, კვლავ პრობლემად რჩებოდა ვენტილაციის საკითხები, მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი სამარტოო საკნებში პირობების გაუმჯობესება, სასეირნო ეზოების მოწყობის საკითხი, სავენტილაციო სისტემის გამართვა და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა დაწესებულებაში მოეწყო ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა, რასაც სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, ინდიკატროები და საქმიანობები, ფაქტობრივად, გაიგივებულია, ასევე ცალკეა მოცემული განსახორციელებელი ქმედებები, რომლებიც საქმიანობებისგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ასეთი სტრუქტურა გაუგებარია, რადგან საქმიანობა იმავდროულად ინდიკატორი არ შეიძლება იყოს. თავად ინდიკატორებიც ზოგადად არის ფორმულირებული და არ იძლევა ქმედების შესრულების გაზომვის შესაძლებლობას.

ე) სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა46

მიზანი 6. პატიმართა უფლებების დაცვის და უკეთესი მოპყრობის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება. **პრიორიტეტი 6**. სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ზრდასრულთათვის.

პროგრამა 6.3. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ქმედება: ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი საჭირო საშუალებებით.

ინდიკატორი: პატიმრობის პირობების გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი.

რელევანტურობა: თავად პროგრამა, ისევე როგორც განსახორციელებლი ქმედება, აქტუალურია. თუმცა, ინდიკატორი არის ზოგადი და არ არის გაზომვადი. კერძოდ, გაურკვეველია რა პროცენტური მაჩვენებელი (საერთო რაოდენობიდან რამდენი პატიმრის პირობების გაუმჯობესება) ჩაითვლება გეგმის აღნიშნული კომპონენტის შესრულებად.

შესრულების შეფასება: გეგმის პროგრეს ანგარიშის თანახმად, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რიგ დაწესებულებებში, პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

- №8 და №14 დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოო დანიშნულების შენობები აშენდა, ხოლო №15 და №16 დაწესებულებების ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა გარემონტდა, სადაც მოეწყო პურის საცხობები მსჯავრდებულთა დასაქმების მიზნით;
- №9 დაწესებულებაში კონდიცირების სისტემა დამონტაჟდა;
- №5 და №6 დაწესებულებების საშხაპეები აღიჭურვა განახლებული სავენტილაციო სისტემებით;
- თანამედროვე სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად, სამედიცინო დანიშნულების ოთახები №2, №5, №8, №9, №14 და №17 დაწესებულებებში კაპიტალურად გარემონტდა, ხოლო №16 დაწესებულებაში ჯერ კიდევ მიმდინარეობს განახლების პროცესი. მოეწყო ახალი სტომატოლოგიური კაბინეტები, რენტგენის ოთახი, სასტერილიზაციო, რაც ქმნის ყველა პირობას მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების გასაწევად;
- №14 დაწესებულებაში - მიმდინარეობს, ხოლო №2, №5, №8, №16, №17 და №19 დაწესებულებების გარშემო დასრულდა უსაფრთხოების დამატებითი დამცავი ბარიერის, ე.წ „ბუფერული“ ზონის მოწყობა;

45 იქვე, გვ. 38

46 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

- №8 დაწესებულებაში სავენტილაციო სისტემა მოეწყო როგორც საშხაპეებში, ასევე საცხოვრებელ ფართშიც;
- №5 ქალთა დაწესებულებაში ფიტნესის ოთახები მოეწყო, ხოლო რუსთავის №16 დაწესებულებაში დასრულდა ეზოს ტერიტორიაზე ღია სატრენაჟორო ფარდულის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა №12 ახალი პენიტენციური დაწესებულების ეზოს ვერტიკალური დაგეგმარების სამუშაოები. მიმდინარეობს დაწესებულების შემომზღუდავი ღობის სამშენებლო სამუშაოები და პენიტენციური დაწესებულების შენობების საპროექტო სამუშაოები;
- №17 დაწესებულებაში მიმდინარეობს სასადილო-სამზარეულო შენობის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს სამზარეულო და სასადილო სივრცის სრულ განახლებასა და აღჭურვას;
- ექსპლუატაციაში შევიდა ახლად გარემონტებული მაღალი რისკის რუსთავის №6 პენიტენციური დაწესებულება, სადაც გარემონტდა საკნები, საშხაპე ოთახები და_სამზარეულო. მოეწყო საკნები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთათვის. მოეწყო მოკლევადიანი პაემნების ოთახი, სამარტოო საკნები, სასამართლო ოთახები. მიმდინარეობს დაწესებულების შიდა ამკრძალავი პერიმეტრის მავთულბადის ღობის მოწყობა;
- №14 დაწესებულების ტერიტორიაზე მოეწყო ელექტრონული მეთვალყურეობის (ე.წ „პულტების ოთახი“) ახალი ოთახები, დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს შენობის აღჭურვისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები და დაწესებულების დამატებითი უსაფრთხოების დამცავი ბარიერების მოწყობა.[47]

დასკვნა: მართალია, განსახორციელებელ საქმიანობაში საუბარი იყო დაწესებულებების რბილი ინვენტარითა და სხვა პირადი ნივთებით აღჭურვაზე, თუმცა ანგარიშში ინფორმაცია ძირითადად მოცემულია სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით. ვინაიდან ჩანს, რომ გარკვეული საქმიანობა დაწესებულებების აღჭურვის მიზნით გადაიდგა, თუმცა ინდიკატორი გაზომვადი არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული აქტივობა ნაწილობრივ შესრულდა.

ქვეპროგრამა 6.3.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებათა განახლებული კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკისა და საჭიროების დაწესებულებები**.**

განსახორციელებელი ქმედებები: 1. გაგრძელდა დაბა ლაითურის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ტიპის დაწესებულების მშენებლობა; 2. სრულად ამოქმედდა განსაკუთრებული რისკის №6 დაწესებულება; 3. განხორციელდა №7 დაწესებულების რეაბილიტაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინდიკატორი: რისკებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი.

რელევანტურობა: იხ. 2015 წლის ანალოგიური საქმიანობისა და ინდიკატორის შეფასება დაბა ლაითურის მშენებლობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება №6 განსაკუთრებული რისკის დაწესებულების ამოქედებას, რისკების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მართლაც რელევანტური საქმიანობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლიდან მოყოლებული, სახალხო დამცველი გასცემდა რეკომენდაციას №7 დაწესებულების გაუქმების შესახებ, აქედან გამომდინარე, მისი რეაბილიტაცია რელევანტურ მიზნად ვერ ჩაითვლება (აღნიშნული იყო, რომ №7 დაწესებულება აღარ ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტაციას).

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის რეფორმის პროგრეს ანგარიშში საუბარია მხოლოდ რისკების შეფასების ნაწილზე, განსახორციელებელ ქმედებებში მოცემული დაწესებულებების მშენებლობასა და ამოქმედებაზე საუბარი არ არის.[48]

დასკვნა: ინფორმაციის არარსებობის გამო, რთულია შევაფასოთ, რამდენად იქნა შესრულებული გეგმით გათვალისწინებული საქმიანობები.

ქვეპროგრამა 6.3.2. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით**.**

განსახორციელებელი ქმედება: საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად, მოქმედ დაწესებულებებში ჩატარებულია მიმდინარე რემონტი და სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასევე, დამატებითი აღჭურვილია შესაბამისი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით.

ინდიკატორი: გარემონტებული და აღჭურვილი დაწესებულებების რაოდენობა.

რელევანტურობა: პენიტენციური დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა რელევანტური ამოცანაა, თუმცა როგორც სხვა უმეტეს შემთხვევაშიც, აქაც ინდიკატორი ზოგადია და პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას არ იძლევა.

47 სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 77

48 იქვე, გვ. 77-78

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშში მითითებულია, რომ 2016 წლის განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელდა კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები: ქუთაისის №2 დაწესებულებაში გარემონტდა დაწესებულების მოკლევადიანი პაემნების ოთახები, „დ" სარეჟიმო შენობის საევაკუაციო კიბეს ჩაუტარდა სარეკონტრუქციო სამუშაოები; საჭიროების მიხედვით ნაწილობრივ გარემონტდა საკნები;

ბათუმის №3 მაღალი რისკის დაწესებულებაში დასრულდა პირველი სართულის სარემონტო სამუშაოები; სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, გადატვირთულობის პრობლემის მოხსნის მიზნით, ჩატარდა სამუშაოები და საკნებში 2 სართულიანი საწოლები გადაკეთდა 1 სართულიან საწოლებად, იმგავარად, რომ დაცული ყოფილიყო თითო პატიმრისათვის მინიმუმ 4 m^2 საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების პირობა; №5 ქალთა დაწესებულებაში კაპიტალურად გარემონტდა დაწესებულების საკნები;

გრძელვადიანი პაემნების შენობის ასაშენებლად №8 დაწესებულებაში შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთი და მოეწყო მავთულბადის ღობე; თბილისის №9 და რუსთავის №16 დაწესებულებებში ჩატარდა დაწესებულების ტერიტორიაზე რკინა-ბეტონის ღობის სამშენებლო სამუშაოები; №9 დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული ორსართულიანი სარეჟიმო შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ძირითადი ნაწილი; რუსთავის №16 დაწესებულების სასადილოს შენობაში მოეწყო კულინარიის შემსწავლელი კურსებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა; №9, №2, №5, №6 და №16 პენიტენციურ დაწესებულებებში კაპიტალურად გარემონტდა საშხაპე ოთახები; №12 და №19 დაწესებულებებში კაპიტალურად გარემონტდა სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებულთა საცხოვრებელი შენობა, სადაც მოეწყო საშხაპე ოთახები და სასადილო ოთახი.[49]

დასკვნა: ინდიკატორებიდან არ ირკვევა რამდენად უზრუნველყოფილია აღნიშნული სამუშაოებით დასახული გეგმის შესრულება, შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ქმედება ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალოს.

ქვეპროგრამა 6.3.3. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

განსახორციელებელი ქმედება: დაიწყო არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა.

ინდიკატორი: არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ) უზრუნველყოფილია სპეციალური საცხოვრებელი პირობები.

რელევანტურობა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაწესებულების არასრულწლოვანთა/ახალგაზრდების დაწესებულების მშენებლობა რელევანტური ქმედებაა, თუმცა ინდიკატორში საუბარია სპეციალური საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფაზე, რაც პირდაპირ არ არის დაკავშირებული ახალი დაწესებულების მშენებლობასთან და შესაძლოა, მაგალითად, ძველი დაწესებულების პირობებშიც განხორციელდეს. შესაბამისად, რთულია მოცემული ინდიკატორით გეგმით გათვალისწინებული განსახორციელებელი ქმედების გაზომვა.

შესრულების შეფასება: შესრულების ანგარიშში, აღნიშნული პუნქტის ქვეშ საუბარია კვების სტანდარტებზე პენიტენციურ დაწესებულებებში, არასრულწლოვანთა დაწესებულების მშენებლობაზე საუბარი არ არის. შესაბამისად, დაწესებულების მშენებლობის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა.[50]

დასკვნა: შესრულების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო, ქმედების განხორციელების შეფასება შეუძლებელია.

ქვეპროგრამა 6.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

განსახორციელებელი ქმედება: №5 დაწესებულებაში გრძელვადიანი პაემნებისათვის შექმნილი ინფრასტრუქტურის სრულყოფილად ამოქმედება.

ინდიკატორი: გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა; სასჯელაღსრულების დაწესებულებებში; ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

რელევანტურობა: გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ინფრასტრუქტურის შექმნა რელევანტური საქმიანობაა, თუმცა ინდიკატორი ამ შემთხვევაშიც ზოგადია, რთულია თქმა, რა წარმოადგენდა ინდიკატორის მიზანს - საქმიანობის შესრულების შეფასება, თუ აღნიშნული საქმიანობის ზეგავლენის შეფასება სამიზნე ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობაზე.

49 იქვე, გვ. 78

50 იქვე, გვ. 78-79

შესრულების შეფასება: გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ქალთა №5 დაწესებულებაში ექსპლუატაციაში შევიდა გრძელვადიანი პაემნების ახლად აშენებული შენობა, ხოლო ამავე დანიშნულების შენობის ასაშენებლად №8 დაწესებულებაში შერჩეულ იქნა მიწის ნაკვეთი და მოეწყო მავთულბადის ღობე.[51]

დასკვნა: თუ საქმიანობის ფორმულირებიდან ვიმსჯელებთ, საქმიანობა წარმატებით იქნა შესრულებული, ინდიკატორის შესაბამისად დასახული გეგმის გაზომვა შეუძლებელია.

ქვეპროგრამა 6.3.6. თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტურად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მომსახურების გაუმჯობესება.

განსახორციელებლი ქმედება: საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებაში, სადაც არ ფუნქციონირებს.

ინდიკატორი: მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა.

რელევანტურობა: საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა რელევანტური ამოცანაა, თუმცა ინდიკატორში აქაც არ არის მოცემული მისაღების ახალი შენობების რაოდენობა, რაც, გეგმით იქნა გათვალისწინებული. განსახორციელებელ ქმედების ნაწილში საუბარია, რომ მისაღებებით უნდა აღიჭურვოს ის დაწესებულებები, სადაც საზოგადოებრივი მისაღები არ ფუნქციონირებს (უნდა ვივარაუდოთ, რომ საუბარია ყველა ასეთ დაწესებულებაზე).

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის 2016 წლის გეგმის შესრულების ანგარიშის მიხედვით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №14 პენიტენციურ დაწესებულებასთან დასრულდა საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა და მისი ამოქმედება იგეგმებოდა უახლოეს პერიოდში.[52]

დასკვნა: შესრულების ანგარიშიდან ვიგებთ, რომ საზოგადოებრივი მისაღები აშენდა მხოლოდ ერთ დაწესებულებაში, ამოქმედება ამ პერიოდში ვერ მოესწრო, რაც გვაფიქრებინებს, რომ განსაზღვრული საქმიანობა მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. ასევე უცნობია, იყო თუ არა ეს ერთადერთი დაწესებულება, სადაც არ ფუნქციონირებდა საზოგადოებრივი მისაღები, უარყოფით შემთხვევაში, საინტერესოა, რატომ არ მოხდა სხვა დაწესებულებების უზრუნველყოფაც მისაღების მომსახურეობით. როგორც აღვნიშნეთ, განსახორციელებელი ქმედების არსებული ფორმულირება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება უნდა მომხდარიყო ყველა დაწესებულებაში, სადაც არ ფუნქციონირებდა.

გეგმის ზოგადი შეფასება: 2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა გარკვეულ წილად ეხმიანება ადამიანის უფლებათა გეგმას და ითვალისწინებს პატიმრობის პირობების გაუმჯობესებას ისეთი ქმედებებით, როგორიცაა არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა დაწესებულების მშენებლობა, დაბა ლაითურის დაწესებულების მშენებლობა, ცალკეული დაწესებულებების რემონტი და აღჭურვა, საზოგადოებრივი მისაღების აშენება. მოცემული საკითხების თავისთავად აქტუალურია, თუმცა სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, არ შესრულებულა და კვლავ პრობლემად რჩებოდა ყველა დაწესებულებაში ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის, განათებისა და გათბობის საკითხები, მსჯავრდებულთა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილება, პატიმრების სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სასეირნო ეზოების მოწყობა. ბარაკული ტიპის საცხოვრებლებში პრივატული გარემოს უზრუნველყოფა, მწეველი და არამწეველი პატიმრების ერთ სივრცეში განთავსება. მსჯავრდებულთა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინით გადატიხრულ ოთახებში და სხვ.

რაც შეეხება საქმიანობებისა და ინდიკატორების ფორმულირებას და ქმედებების რელევანტურობას, წინა წლის მსგავსად, მეტისმეტად ზოგადად არის გადმოცემული, არ არის კონკრეტული და გაზომვადი. ინდიკატორების სტრუქტურა არ იძლევა ქმედებების შესრულებისა და მათი ზეგავლენის შეფასების შესაძლებლობას.

ვ) სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა[53]

მიზანი 6. პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა; ეფექტიანი რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის ღონისძიებების საშუალებით, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირება.

---

51 იქვე, გვ. 79

52 იქვე, გვ. 79-80

53 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

პრიორიტეტი 6. სისხლის სამართლის რეფორმა - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება.

პროგრამა 6.3. ატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ქმედება: ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო აუცილებელი საშუალებებით.

ინდიკატორი: პატიმრობის პირობების გაუმჯობესებით უზრუნველყოფილი ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი.

რელევანტურობა: იხ. წინა წლის გეგმის შესაბამისი ნაწილის შეფასება.

შესრულების შეფასება: 2017 წლის სისხლის სამართლის გეგმის შესრულების ანგარიშში საუბარია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რიგ დაწესებულებებში პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ:

- №2 დაწესებულება - 2016-2017 წელს, სტანდარტების შესაბამისად, მოეწყო და გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- №5 დაწესებულება - აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, 2017 წელს დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა;
- №6 დაწესებულება - 2017 წელს აბანოებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი;
- №9 დაწესებულება - გარემონტდა სამედიცინო ოთახები;
- №15 დაწესებულება - 2017 წელს მსჯავრდებულთა საკნებში შეიცვალა ონკანები;
- №16 დაწესებულება - გარემონტდა საშხაპე ოთახები, მოეწყო სპორტული აქტივობებისათვის ღია მოედნები;
- №17 დაწესებულება - 2017 წელს ჩატარდა სამედიცინო ოთახების სარემონტო სამუშაოები.

შესრულების შეფასების თაობაზე იხ. წინა წლის გეგმის შესაბამისი ნაწილი.[54]

ქვეპროგრამა 6.3.1. განახლებული კლასიფიკაციის ინსტრუმენტის შესაბამისად შექმნილი სხვადასხვა რისკის დაწესებულებები**.**

განსახორციელებლი ქმედება: გაგრძელდა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული რისკის დაწესებულების მშენებლობა.

ინდიკატორი: რისკებისა და საჭიროებების შეფასების საფუძველზე, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შესაბამისი ტიპის დაწესებულებებში განთავსების პროცენტული მაჩვენებელი.

რელევანტურობა: იხ**.** წინა წლების შესაბამისი საქმიანობისა და ინდიკატორების შეფასებები**.**

შესრულების შეფასება - სისხლის სამართლის რეფორმის პროგრეს ანგარიშში საუბარია მხოლოდ რისკების შეფასების ნაწილზე, განსახორციელებელ ქმედებაში მოცემული დაწესებულებების მშენებლობასა და ამოქმედებაზე საუბარი არ არის. [55]

დასკვნა: შესრულების შესახებ ინფორმაციის არარსებობის გამო, ქმედების განხორციელების შეფასება შეუძლებელია.

ქვეპროგრამა 6.3.2. სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული დაწესებულებების გარემონტება და აღჭურვა.

განსახორციელებელი ქმედება: ყოველწლიურად არსებული დაწესებულებები უზრუნველყოფილია რემონტ-რეკონსტრუქციით და დამატებითი აღჭურვით, შესაბამისი მანქანა დანადგარებითა და ინვენტარით, საჭიროებიდან გამომდინარე.

ინდიკატორი: გარემონტებული და აღჭურვილი დაწესებულებების რაოდენობა.

რელევანტურობა: იხ. წინა წლის გეგმის შეფასება.

---

54 სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 95

55 იქვე, გვ. 95

შესრულების შეფასება: საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველწლიურად არსებული დაწესებულებები უზრუნველყოფილია რემონტ-რეკონსტრუქციით და დამატებითი აღჭურვით, შესაბამისი მანქანა დანადგარებითა და ინვენტარით. მაგალითად:

- №5 პენიტენციურ დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისთვის დამონტაჟდა ლიფტები და მოეწყო პანდუსები;
- №7 პენიტენციურ დაწესებულებას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა; რუსთავის №16 დაწესებულებაში მოეწყო სამედიცინო დახმარების ოთახები;
- №2 , №5, №6, პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყო და მოწესრიგდა საშხაპე ოთახები; (იხ. წინა წლის გეგმის ანალოგიური კომპონენტის შეფასება).[56]

დასკვნა: თუ ვივარაუდებთ, რომ წლის განმავლობაში სხვა საჭიროება არ გამოვლენილა (თუმცა სახალხო დამცველის ანგარიში საწინააღმდეგოს მეტყველებს), საქმიანობა შესრულებულად უნდა ჩაითვალოს;

ქვეპროგრამა 6.3.3. არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

განსახორციელებელი ქმედებები: მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის საფუძველზე ბაზრის მოკვლევა ჩატარებულია; სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისათვის პროცედურები დაწყებულია; სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანია შერჩეულია; მიწის სამუშაოები ჩატარებულია.

ინდიკატორი: არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა დამნაშავეთათავის (18-21 წწ) უზრუნველყოფილია სპეციალური საცხოვრებელი პირობები.

რელევანტურობა - იხ. წინა წლის გეგმის შეფასება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახორციელებელი ქმედებები ფორმულირებულია, როგორც უკვე დამდგარი შედეგი და მათი ფორმულირება არ არის სტრუქტურირებული, როგორც სამომავლოდ გათვალისწინებული კონკრეტული ქმედებების გეგმა.

შესრულების შეფასება: შესრულების ანგარიშში, აღნიშნული პუნქტის ქვეშ საუბარია კვების სტანდარტებზე პენიტენციურ დაწესებულებებში. არასრულწლოვანთა დაწესებულების მშენებლობაზე საუბარი არ არის. შესაბამისად, დაწესებულების მშენებლობის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა.[57]

დასკვნა: ინფორმაციის არარსებობის გამო, ქმედების განხორციელების შეფასება შეუძლებელია.

ქვეპროგრამა 6.3.5. მსჯავრდებულთა ოჯახებთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების შექმნა.

განსახორციელებელი ქმედება: გრძელვადიანი ვიზიტებისთვის დაგეგმილია გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ინფრასტრუქტურის მოწყობა.

ინდიკატორი: გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილების რაიდენობა. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოჯახთან ურთიერთობის უფლებით უზრუნველყოფილი თავისუფლება აღკვეთილთა პროცენტული რაოდენობა.

რელევანტურობა: იხ. წინა წლის გეგმის შეფასება.

შესრულების შეფასება: გლდანის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში გრძელვადიანი ვიზიტებისთვის მოწყობილია ინფრასტრუქტურა, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2018 წლის მარტიდან.

განსახორციელებელი ქმედება: შესრულებულ იქნა, თუმცა, რაც შეეხება საქმიანობის ზეგავლენას მიზნობრივ ჯგუფზე, აღნიშნულის გაზომვა ინდიკატორების ზოგადი და არაგაზომვადი ფორმულირების გამო, შეუძლებელია.[58]

დასკვნა: ქმედება შესაძლოა შესრულებულად ჩაითვალოს.

---

56 იქვე, გვ. 95-96

57 იქვე, გვ. 97

58 იქვე, გვ. 97

ქვეპროგრამა 6.3.6 თავისუფლებააღკვეთილთა ახლობლების, ოჯახის წევრების და სხვა დაინტერესებულ პირთათვის კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სწრაფად და ეფექტიანად მოძიების, მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პაემნების სრულყოფილად ორგანიზების მიზნით, მომსახურების გაუმჯობესება.

განსახორციელებელი ქმედებები: 1. საზოგადოებრივი მისაღების აშენება და სრულად ამოქმედება იმ დაწესებულებაში, სადაც არ ფუნქციონირებს; 2. საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა სამინისტროს მთავარი ადმინისტრაციული შენობის წინ; 3. (გეგმაში №5) №14 პენიტენციურ დაწესებულებაში საზოგადოებრივი მისაღების ამოქმედება.

ინდიკატორი: მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილი საზოგადოებრივი მისაღების შენობების რაოდენობა.

რელევანტურობა: იხ. წინა წლის გეგმის შეფასება.

შესრულების შეფასება: სისხლის სამართლის გეგმის პროგრეს ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა სრულყოფილად მომსახურების მიზნით, 2017 წელს ამოქმედდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გეგუთის №14 დაწესებულების საზოგადოებრივი მისაღები. საზოგადოებრივი მისაღები უზრუნველყოფს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ხანგრძლივ და ხანმოკლე პაემნების ორგანიზებას, საბუთების შემოწმებასა და ერთჯერადი საშვის გაცემას. ასევე დაწესებულებაში შესვლის მსურველ სხვა პირებზე (კერძოდ, პროკურორი, ადვოკატი, გამომძიებელი, სასულიერო პირი და ა.შ) სპეციალური საშვის გაცემას. საზოგადოებრივი მისაღების თანამშრომლები კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახლობლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის სხვადასხვა სახის კონსულტაციის გაწევას.

სამინისტროს მთავარი ადმინისტრაციული შენობის წინ საზოგადოებრივი მისაღების მშენებლობა შეჩერებულია. ამ ეტაპზე, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა დაწესებულებაში აშენებულია და მოქმედებს საზოგადოებრივი მისაღებები.[59]

დასკვნა: თუ არ ჩავთვლით, რომ განსაზღვრული საქმიანობებიდან ერთ-ერთი შეჩერებულ იქნა, დასახული საქმიანობები მიღწეულად შეიძლება ჩავთვალოთ.

გეგმის ზოგადი შეფასება: 2017 წლის გეგმაშიც წინა წლების მსგავსად, საუბარია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მშენებლობა (სავარუდოდ, დაბა ლაითურში), კვლავაც გეგმის სახით არის წარმოდგენილი არასრულწლოვანთა დაწესებულების მშენებლობის საკითხი, თუმცა გეგმაში კონკრეტული ნაბიჯებია გათვალისწინებული, რომელიც ამ მიმართულებით ფინანსურ ხარჯებსაც მოიაზრებს. ზოგადია ჩანაწერები ასევე დაწესებულებების რეკონსტრუქციასთან და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებით. მისასალმებელია, რომ საზოგადოებრივი მისაღებისა და გრძელვადიანი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, მეტი კონკრეტიკაა მითითებული და ცალკეული დაწესებულებებიც სახელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში აღარ არის საუბარი ისეთ საკითხებზე, რომლებიც იმ პერიოდისთვის კვლავაც აქტუალური იყო, კერძოდ, მსჯავრდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი, ბრალდებულთათვის მსჯავრდებულებზე უფრო ნაკლები (საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო) მინიმალური საცხოვრებელი ფართის გათვალისწინება, განათებისა და ვენტილაციის უზრუნველყოფის საკითხები, სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, წინა წლის მსგავსად, არსებობდა ინდიკატორების არასაკმარისად კონკრეტულად ფორმულირების პრობლემა.

ზ) სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის სამოქმედო გეგმა[60]

მიზანი 2. სასჯელაღსრულების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ამოცანა 2.1. პატიმრობის პირობების გაუმჯობესება.

შედეგი 2.1. ბრალდებულები/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან კვებითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით; პენიტენციური დაწესებულებები აღჭურვილია უსაფრთხოების მაღალი ტექნოლოგიებით; შექმნილია ადგილები გრძელვადიანი შეხვედრებისთვის.

ინდიკატორი: გაუმჯობესებული პირობებით უზრუნველყოფილ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობა

ღონისძიება 2.1.1. ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება.

59 იქვე, გვ. 97

60 http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/237

2018 წლისთვის გათვალისწინებული შედეგი: 1. პენიტენციური სისტემის კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა; 2. ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა რბილი ინვენტარითა და პირადი ჰიგიენისთვის აუცილებელი საშუალებებით; 3. პენიტენციური დაწესებულებების უსაფრთხოების მაღალი ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა საჭიროებიდან გამომდინარე; 4. ოჯახებთან ურთიერთობის უფლების უზრუნველსაყოფად გრძელვადიანი ვიზიტებისთვის ადგილების შექმნა.

შესრულების შეფასება: №7 პენიტენციურ დაწესებულებაში შეიქმნა გრძელვადიანი ვიზიტებისათვის განკუთვნილი ადგილი.[61]

დასკვნა: პროგრეს ანგარიშში ინფორმაცია მოცემულია მხოლოდ გრძელვადიანი ვიზიტებისათვის ადგილის მოწყობის შესახებ (ერთ დაწესებულებაში), რაც შეეხება სხვა გათვალისწინებულ შედეგებს, მათზე ინფორმაცია მოცემული არ არის. შესაბამისად, შედეგები ნაწილობრივ მიღწეულად შეიძლება ჩავთვალოთ.

ღონისძიება 2.1.2 არასრულწლოვანთა პენიტენციური დაწესებულების რეკონსტრუქცია.

2018 წლისთვის გათვალისწინებული შედეგი: UNICEF-ის ექსპერტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, არასრულწლოვანთა სარებილიტაციო დაწესებულების განახლებულ კონცეფციაზე მუშაობის დაწყება.

რელევანტურობა: გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება რელევანტურია.

შესრულების შეფასება: აღნიშნული ღონისძიების შესრულების შესახებ, პროგრეს ანგარიშში ინფორმაცია ასახული არ არის.

დასკვნა: ინფორმაციის არარსებობის გამო, ღონისძიების შესრულების შესახებ დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

გეგმის ზოგადი შეფასება: 2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შეფასების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ გარდა გეგმაში ასახული საკითხებისა, კვლავაც აქტუალური იყო საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ვენტილაციის, განათების, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის პრობლემები, ბარაკული ტიპის საცხოვრებლების გაუქმების საკითხი, რიგ დაწესებულებებში გადატვირთულობის საკითხები. რაც შეეხება ინდიკატორების ფორმულირებას, ინფრასტრუქტურის ნაწილში, ინდიკატორი ისევ ზოგადია, გათვალისწინებული არ არის ასევე ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის წყარო და საჭირო თანხის ოდენობა.

თ) პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (2019-2020 წლები)

2019 წლის 22 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის №385 ბრძანებით დამტკიცდა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების 2019-2020 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

სტრატეგიისა და გეგმის თანახმად განისაზღვრა ცალკეული მიზნები და ის შედეგები (შუალედური და საბოლოო), რომლებიც უნდა მოჰყოლოდა აღნიშნული მიზნების მიღწევას. მიზნების ნაწილი უკავშირდება პენიტენციურ სისტემაში არსებულ საყოფაცხოვრებო პირობებს. კერძოდ, სტრატეგიის ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია ახალი, მცირე ზომის დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა, ხოლო არსებული დაწესებულებების გაუმჯობესება უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და რეაბილიტაციის დარგში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტრატეგიაში მითითებულია შედეგები, რომლებიც უნდა დადგეს აღნიშნული მიზნის მიღწევის შემდეგ და თითოეულისთვის განსაზღვრულია შესაბამისი აქტივობები, კერძოდ:

შედეგი A1. მოქმედ პენიტენციურ დაწესებულებებში საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების დიზაინი და მშენებლობა.

აქტივობები: 1. ლოჯისტიკური გეგმის შემუშავება არსებული და სამომავლო საჭიროებების გათვალისწინებით: 2. პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების ეფექტიანობის და ტევადობის შესწავლა; 3. საკნებში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ინდიკატორები:

- 2019 წლის აპრილისთვის დასრულებულია პენიტენციური დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწისა და შენობანა-გებობების პირველადი შეფასება და დადგენილია ახალი შენობების/არსებული შენობების გაფართოების შესაძლებლობები;

- 2019 წლის სექტემბრისთვის ახალი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სტანდარტი შემუშავებულია;

61 სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის გეგმის პროგრეს ანგარიში, გვ. 22

- 2019 წლის სექტემბრისთვის განვითარების გეგმა ხარჯთაღრიცხვით მომზადებულია;
- 2019 წლის სექტემბრისთვის №14 და №15 პენიტენციური დაწესებულებების დახურვის გეგმა წარდგენილია;
- 2019 წლის სექტემბრისთვის №9 და №19 პენიტენციური დაწესებულებების გადატანის გეგმა წარდგენილია;
- 2020 წლის დეკემბრისთვის №17 პენიტენციური დაწესებულების დახურვის გეგმა წარდგენილია;
- 2019 წლის დეკემბრისთვის მომზადებულია №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმა;
- 2020 წლის დეკემბრისთვის ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრი და №9 დაწესებულება განთავსებულია ცალკე დაწესებულებაში, გახსნილია 600-ადგილიანი ახალი დაწესებულება;
- 2020 წლის დეკემბრისთვის ლაითურის დაწესებულების მშენებლობა დასრულებულია;
- 2020 წლის დეკემბრისთვის 2 ახალი მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულების გეგმა შემუშავებულია.

შედეგი A2. პენიტენციურ დაწესებულებში უსაფრთხოების, გარე პერიმეტრის დაცვისა და ესკორტის ღონისძიებების გაუმჯობესება დაწესებულებიდან გაქცევის, მიმალვის ან დაწესებულებაში უკანონო ნივთების შეტანის შესაძლებლობის შემცირების მიზნით.

აქტივობები: პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლთან (ბუფერულ ზონასთან) დაკავშირებული უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესება.

შედეგი A3. პირობების გაუმჯობესება არასრულწლოვნების, ახალგაზრდა ზრდასრული პირებისა და ქალებისათვის.

აქტივობები: 1. ა) ბრალდებული არასრულწლოვნებისთვის; ბ) მსჯავრდებული არასრულწლოვნებისთვის განსხვავებული რეჟიმების განსაზღვრა და ცალკე დაწესებულებების უზრუნველყოფა; 2. ახალგაზრდა ზრდასრული მსჯავრდებული და ბრალდებული (კაცები) პირებისთვის არსებული პატიმრობის პირობების შესწავლა/გადახედვა; 3. ქალთა დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მათ შორის, დედათა და ბავშვთა სახლში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

ინდიკატორები:

- 2019 წლის აპრილისთვის დასრულებულია პენიტენციური დაწესებულებების აუდიტი;
- 2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის სარემონტო/განახლებითი სამუშაოების გეგმა და შემცირებულია მიწოდება და მოთხოვნა;
- 2020 წლის დეკემბრისთვის პენიტენციური დაწესებულებების 80%-ში ჩატარებულია სარემონტო/განახლებითი სამუშაოები აკრძალულ ზოლში უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით;
- 2019 წლის სექტემბრისთვის მზად არის განცალკევების გეგმა, მათ შორის, №8 პენიტენციური დაწესებულებებიდან გადაყვანის გეგმა;
- 2020 წლის დეკემბრისთვის №2 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვნებისთვის მოწყობილია ცალკე ინფრასტრუქტურა;
- 2020 წლის დეკემბრისთვის ფუნქციონირებს განახლებული არასრულწლოვანთა დაწესებულებები; ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებულნი არიან ზრდასრულებისგან განცალკევებით და ბრალდებული არასრულწლოვნები განთავსებული არიან მსჯავრდებული არასრულწლოვნებისგან განცალკევებით.

საყოფაცხოვრებო პირობებს უკავშირდება ასევე შემდეგი **მიზანი**: ბრალდებულების, მსჯავრდებულების, სტუმრებისა (მოწყვლად ჯგუფებზე განსაკუთრებული აქცენტით) და თანამშრომლების უფლებების დაცვა, რომელსაც უნდა მოჰყვეს შემდეგი შედეგები:

შედეგი D2. მსჯავრდებულებისთვის დასაქმების, პროფესიული სწავლების, განათლებისა და განტვირთვის შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამ მიზნით შესაბამისი სისტემებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით.

აქტივობები: დამსაქმებლებთან პარტნიორობის/ თანამშრომლობის საფუძველზე სამეწარმეო ზონების ჩამოყალიბება.

შედეგი D3. ოჯახებისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ოჯახთან კონტაქტის წახალისება.

ინდიკატორები:

- 2019 წლის ივნისისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით, ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით მიდგომა და გეგმის პროექტი მომზადებულია;

- 2019 წლის დეკემბრისთვის არასრულწლოვნებთან მიმართებით, ოჯახის ფარგლებში მეგობრული და მხარდამჭერი გარემოს შექმნის მიზნით გეგმის განხორციელების ანგარიში;

გეგმის ზოგადი შეფასება: ზოგადად პენიტენციური და პრევენციის სამოქმედო გეგმის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მისასალმებელია როგორც მცირე ზომის დაწესებულებებზე გადასვლის (რის შესახებაც წლების განმავლობაში არსებობდა ომბუდსმენის რეკომენდაციები), ასევე არსებული დაწესებულებების შესაძლებლობების შესწავლის, ახალი დაწესებულებების მშენებლობის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, მსჯავრდებულთა სწავლისა და დასაქმების მიზნების გათვალისწინება. ყველა მათგანი დროული და რელევანტურია, თუმცა რეალისტურობაზე საუბარი მხოლოდ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება ახალი გეგმის სტრუქტურას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გეგმის სტრუქტურა გაუმჯობესებულია, ინდიკატორები უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული და გეგმის შესრულების ანალიზის დროს, შესაძლოა, მათი გამოყენებით მეტ-ნაკლებად მოხდეს აქტივობების შესრულების შეფასება.

9. ძირითადი მიგნებები/რეკომენდაციები

იმისათვის, რომ გაკეთდეს წლების მანძილზე არსებული გეგმების საბოლოო შეჯამება, მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმების, ასევე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმების განვითარების დინამიკა.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა

2014-2015 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მართალია, საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებები, ისევე, როგორც ინფრასტრუქტურული საკითხები, გეგმაში ასახულია, თუმცა ყურადღების მიღმა რჩება მთელი რიგი გამოწვევები, რაც იმ პერიოდისთვის აქტუალური იყო და დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებდა. კერძოდ, სახალხო დამცველის ანგარიშების (2013-2014 წწ) თანახმად, მწვავედ იდგა როგორც ცალკეული ინფრასტრუქტურული საჭიროებები, ასევე შედარებით ზოგადი პრობლემები. კერძოდ, დაწესებულებებში სასეირნო ეზოების გარემონტებისა და აღჭურვის, დაწესებულებებში სათანადო ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის უზრუნველყოფის საკითხები, რიგ დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა, №7 დაწესებულების დახურვის საჭიროება, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის აუცილებლობა, ხანგრძლივი პაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან შეხვედრების ოთახის უზრუნველყოფა, სადაც არ განხორციელდებოდა ფარული თვალთავლი, მიყურადება და სხვ.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, მისი შედგენისას სრულად არ ყოფილა გათვალისწინებული S.M.A.R.T. პრინციპი. გეგმაში ასახული ინდიკატორები უმეტესად ზოგადია და არ იძლევა საქმიანობების გაზომვის შესაძლებლობას. გათვალისწინებული არ არის ბიუჯეტის წყარო, საიდანაც უნდა განხორციელდეს საქმიანობებისთვის საჭირო ხარჯების გაღება.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა

რაც შეეხება 2016-2017 წლების ადამიანის უფლებათა გეგმის ზოგად შეფასებას, მართალია, გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, თუმცა წინა წლის მსგავსად, ისინიც სრულად ვერ პასუხობდა იმ პერიოდისთვის არსებულ სასჭიროებებს. კერძოდ, ომბუდსმენის ანგარიშის თანახმად, №7 დაწესებულება, ფაქტობრივად, არ ექვემდებარებოდა რეაბილიტაციას და გაიცემოდა რეკომენდაცია მისი დახურვის შესახებ, თუმცა გეგმაში საუბარია არა დახურვაზე, არამედ მის საფუძვლიან გარემონტებაზე. ასევე არ არსებობდა არასრულწლოვანთა დაწესებულების დეტალური კონცეფცია, სადაც გაწერილი იქნებოდა დაწესებულების იმგვარად დაპროექტების დეტალები, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო არასრულწლოვანთა განათლების, რეინტეგრაციისა და სხვა სპეციფიური საჭიროებები. შესაბამისად, რთულია ახალი დაწესებულების მშენებლობის საჭიროებისა და არასრულწლოვანთა განთავსების საკითხის შეფასება. საბოლოო ჯამში, არასრულწლოვანთა დაწესებულება არათუ არ აშენებულა, არამედ მისი მშენებლობა პენიტენციური სამსახურის მიერ შემუშავებულ ბოლო გეგმაში საერთოდ აღარ არის და აქცენტი არსებული დაწესებულებების გაუმჯობესებაზე კეთდება. კვლავ პრობლემური იყო ხანგრძლივი პაემნების ინფრასტრუქტურის შექმნა და პატიმართა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგების, განათების, ვენტილაციის პრობლემები. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი საქმიანობებიდან სრულყოფილად თითქმის ვერცერთი განხორციელდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ გეგმა და მასში ასახული საჭიროებების შეფასება არ ეფუძნებოდა მტკიცებულებებს. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ახალი დაწესებულებების მშენებლობაზე საუბრისას მცირე ზომის დაწესებულებებზე გადასვლის მნიშვნელობაზე მხოლოდ სტრატეგიაშია საუბარი, გეგმებში კონკრეტული დაწესებულებების მოცულობა ნახსენები არ არის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად განხორციელებული ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტებისა, სრულად არ მოგვარებულა ისეთი აქტუალური პრობლემები, როგორიცაა დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მსჯავრდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა (თუმცა ეს საქმიანობა ანგარიშში სრულად შესრულებულად არის მითითებული), ეზოების მოწყობის საკითხი, განათებისა და ვენტილაციის პრობლემა, ბარაკული ტიპის საცხოვრებლებში პრივატულობის დაცვის პრობლემა და სხვ.

რაც შეეხება გეგმების სტრუქტურას, ის იგივენაირად არის ფორმულირებული, როგორც წინა ორწლიანი ადამიანის უფლებათა გეგმა და ფაქტობრივად იგივე გამოწვევების წინაშე დგას. ეს გამოწვევებია ინდიკატორების ზოგადი ფორმულირება, რაც არ იძლევა საქმიანობის შესრულებისა და სამიზნე ჯგუფზე მისი ზეგავლენის გაზომვის შესაძლებლობას. რაც შეეხება საქმიანობების შესრულებას, თუ ერთმანეთს შევადარებთ სახალხო დამცველის შესაბამისი წლების ანგარიშებსა და ადამიანის უფლებათა გეგმის შესრულების ანგარიშებს, შევამჩნევთ, რომ გარკვეული შეუსაბამობები არსებობს და ის საკითხებიც კი, რომლებიც გეგმებში სრულად მოგვარებულად არის მითითებული, კვლავ არ კარგავს აქტუალობას და პრობლემურ საკითხად სახელდება ომბუდსმენის ანგარიშში.

ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

2018-2020 წლების გეგმა, ფაქტობრივად, იმეორებს წინა წლების აქტივობებს, კერძოდ, რბილი ინვენტარით და სხვა საჭირო ნივთებით მსჯავრდებულთა აღჭურვას, საჭიროებიდან გამომდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას, გადატვირთულობის აღმოფხვრას, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხს და სხვ. თუმცა სიახლის სახით, აღნიშნულია, რომ აღარ იგეგმება ორხევში არასრულწლოვნებისა და ახალგაზრდებისთვის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა და სანაცვლოდ მოხდება არსებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების მოდერნიზება.

რაც შეეხება ინდიკატორებს, მართალია, მათი ფორმულირება იდეალური არ არის, თუმცა წინა წლებთან შედარებით უფრო მეტად კონკრეტულია. ბიუჯეტის გრაფა კვლავ ცარიელია, თუმცა აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები განსაზღვრულია.

სისხლის სამართლის რეფორმის 2015 წლის საქმომედო გეგმა

2015 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმა ძირითადად ეხმიანება ამავე წლის ადამიანის უფლებათა სამთავრობო გეგმას, აქტივობებიც მსგავსია, თუმცა, როგორც სამთავრობო გეგმის ნაწილში, აქაც უნდა ითქვას, რომ სრულად არ ყოფილა გათვალისწინებული ის საჭიროებები, რაც იმ პერიოდისთვის არსებობდა. მაგალითად, სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, კვლავ პრობლემად რჩებოდა ვენტილაციის საკითხები, მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი, სამარტოო საკნებში პირობების გაუმჯობესება, სასეირნო ეზოების მოწყობის საკითხი და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა დაწესებულებაში მოეწყო ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა, რასაც სახალხო დამცველი პოზიტიურად აფასებს.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, ინდიკატორები და საქმიანობები, ფაქტობრივად, გაიგივებულია. ასევე ცალკეა მოცემული განსახორციელებელი ქმედებები, რომლებიც საქმიანობებისგან განსხვავებული შინაარსის მატარებელია. ასეთი სტრუქტურა გაუგებარია, რადგან საქმიანობა იმავდროულად ინდიკატორი არ შეიძლება იყოს. თავად ინდიკატორებიც ზოგადად არის ფორმულირებული და არ იძლევა ქმედების შესრულების გაზომვის შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის რეფორმის 2016 წლის სამოქმედო გეგმა

2016 წლის სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმა, წინა წლის გეგმის მსგავსად, გარკვეულ წილად ეხმიანება ადამიანის უფლებათა გეგმას და ითვალისწინებს პატიმრობის პირობების გაუმჯობესებას ისეთი ქმედებებით, როგორიცაა არასრულწლოვანთა და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა დაწესებულების მშენებლობა, დაბა ლაითურის დაწესებულების მშენებლობა, ცალკეული დაწესებულებების რემონტი და აღჭურვა, საზოგადოებრივი მისაღების აშენება. მოცემული საკითხების თავისთავად აქტუალურია, თუმცა სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, არ შესრულებულა და კვლავ პრობლემად რჩებოდა ყველა დაწესებულებაში ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის, განათებისა და გათბობის საკითხები, მსჯავრდებულთა სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილება, პატიმრების სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სასეირნო ეზოების მოწყობა. ბარაკული ტიპის საცხოვრებლებში პრივატული გარემოს უზრუნველყოფა, მწეველი და არამწეველი პატიმრების ერთ სივრცეში განთავსება. მსჯავრდებულთა განთავსებისას ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ხანმოკლე პაემნების განხორციელება მინით გადატიხრულ ოთახებში და სხვ.

რაც შეეხება საქმიანობებისა და ინდიკატორების ფორმულირებას და ქმედებების რელევანტურობას, წინა წლის მსგავსად, მეტისმეტად ზოგადად არის გადმოცემული, არ არის კონკრეტული და გაზომვადი. ინდიკატორების სტრუქტურა არ იძლევა ქმედებების შესრულებისა და მათი ზეგავლენის შეფასების შესაძლებლობას.

სისხლის სამართლის რეფორმის 2017 წლის სამოქმედო გეგმა

2017 წლის გეგმაშიც, წინა წლების მსგავსად, საუბარია ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მოხსენიებულია დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მშენებლობა (სავარუდოდ, დაბა ლაითურში), კვლავაც გეგმის სახით არის წარმოდგენილი არასრულწლოვანთა დაწესებულების მშენებლობის საკითხი, თუმცა გეგმაში კონკრეტული ნაბიჯებია გათვალისწინებული, რომელიც ამ მიმართულებით ფინანსურ ხარჯებსაც მოიაზრებს. ზოგადია ჩანაწერები ასევე დაწესებულებების რეკონსტრუქციასთან და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვასთან დაკავშირებით. მისასალმებელია, რომ საზოგადოებრივი მისაღებისა და გრძელვადიანი პაემნების ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, მეტი კონკრეტიკაა მითითებული და ცალკეული დაწესებულებებიც სახელდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში აღარ არის საუბარი ისეთ საკითხებზე, რომლებიც იმ პერიოდისთვის კვლავაც აქტუალური იყო, კერძოდ, მსჯავრდებულთა მინიმალური საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი, ბრალდებულთათვის მსჯავრდებულების მსგავსი (საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი) მინიმალური საცხოვრებელი ფართის გათვალისწინება, განათებისა და ვენტილაციის უზრუნველყოფის საკითხები, სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

რაც შეეხება გეგმის სტრუქტურას, წინა წლის მსგავსად, არსებობდა ინდიკატორების არასაკმარისად კონკრეტულად ფორმულირების პრობლემა.

სისხლის სამართლის რეფორმის 2018 წლის სამოქმედო გეგმა

2018 წლის სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შეფასების მიზნით, უნდა აღინიშნოს, რომ გარდა გეგმაში ასახული საკითხებისა, კვლავაც აქტუალური იყო საკნებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ვენტილაციის, განათების, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი ფართის უზრუნველყოფის პრობლემები, ბარაკული ტიპის საცხოვრებლების გაუქმების საკითხი, რიგ დაწესებულებებში გადატვირთულობის საკითხები.

რაც შეეხება ინდიკატორების ფორმულირებას, ინფრასტრუქტურის ნაწილში, ინდიკატორი ისევ ზოგადია, გათვალისწინებული არ არის ასევე ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტის წყარო და საჭირო თანხის ოდენობა.

პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმა (2019-2020 წლები)

2019-2020 წლების პენიტენციური და პრევენციის სამოქმედო გეგმის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მისასალმებელია როგორც მცირე ზომის დაწესებულებებზე გადასვლის (რის შესახებაც წლების განმავლობაში არსებობდა რეკომენდაციები), ასევე არსებული დაწესებულებების შესაძლებლობების შესწავლის, ახალი დაწესებულებების მშენებლობის, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ასევე მსჯავრდებულთა სწავლისა და დასაქმების მიზნების გათვალისწინება. ყველა მათგანი დროული და რელევანტურია, თუმცა რეალისტურობაზე საუბარი მხოლოდ შესრულების ვადის დადგომის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

რაც შეეხება ახალი გეგმის სტრუქტურას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გეგმის სტრუქტურა გაუმჯობესებულია, ინდიკატორები უფრო კონკრეტულად არის ფორმულირებული და გეგმის შესრულების ანალიზის დროს, შესაძლოა, მათი გამოყენებით მეტ-ნაკლებად მოხდეს აქტივობების შესრულების შეფასება.

10. გეგმის რელევანტურობა

თუ ზემოთ ჩამოთვლილ შეფასებებს განვაზოგადებთ, უნდა აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში პოლიტიკის დოკუმენტებით გათვალისწინებული საქმიანობები და ამოცანები სრულიად რელევანტური იყო და საჭიროებდა სტრატეგიებსა და გეგმებში ასახვას. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გარდა დოკუმენტებში ასახული საკითხებისა, არსებობდა არანაკლებ მნიშვნელოვანი და აქტუალური გარემოებები, რაც ინფრასტრუქტურისა და საყოფაცხოვრებო პირობების კუთხით გაუმჯობესებას საჭიროებდა, თუმცა, სამწუხაროდ, გეგმებში ასახული არ ყოფილა.

კერძოდ, წლების მანძილზე პრობლემად რჩებოდა განათებისა და ვენტილაციის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის საკითხები, მსაჯვრდებულთა ბარაკული ტიპის საცხოვრებლების გაუქმების, №7 დაწესებულების გაუქმების საკითხი, მსჯავრდებულთა პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებისას მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების საკითხი, მინიმალური საცხოვრებელი ფართით მსჯავრდებულთა უზრუნველყოფის საკითხი, ბრალდებულთა მინიმალური ფართის მსჯავრდებულებთან თანასწორად განსაზღვრის, მინის ბარიერს მიღმა ხანმოკლე პაემნების მოწყობის, ეზოების მოწყობის საკითხები და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები.

რეალური გეგმები მცირე ტიპის დაწესებულებებზე გადასვლის შესახებ მხოლოდ პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის გეგმაშია მოცემული. წლების მანძილზე იგეგმებოდა ღონისძიებები (სავარაუდოდ, გარკვეული ხარჯებიც იქნა გაწეული), რომლებიც შემდგომი შეფასებებით აქტუალური აღარ აღმოჩნდა და გაწეული სამუშაოები ფაქტობრივად რესურსის ფუჭ ხარჯვად დარჩა. ამავდროულად, იყო რიგი საკითხები, რომლებისკენაც შესაძლოა ეს რესურსი (მატერიალური, ადამიანური) მიმართულიყო და უფრო ეფექტიანი შედეგი მოეტანა.

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ გეგმებში ასახული საკითხები, მართალია, იყო რელევანტური, თუმცა მათი მასშტაბი იყო საკმაოდ მცირე, რაც წლების მანძილზე იდენტური პრობლემების მოუგვარებლობას განაპირობებდა, ასევე განაპირობებდა იმას, რომ მთელი რიგი გამოწვევები ყურადღების მიღმა რჩებოდა.

11. გეგმის სტრუქტურა

როგორც ინდიკატორებზე საუბრისას იქნა მითითებული, სამოქმედო გეგმების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ამოცანები, მიზნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ე.წ. S.M.A.R.T. პრინციპით. კერძოდ, თითოეული მიზანი, აქტივობა იყოს სპეციფიკური, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოყალიბებული იყოს კონკრეტულად, დეტალურად, კარგად მოხდეს განსახორციელებელი ქმედების განსაზღვრა, იყოს გაზომვადი, რაც ნიშნავს რომ შესაძლებელი უნდა იყოს აქტივობების, მიზნების გაზომვა, ციფრებსა და რაოდენობებში ასახვა, უნდა იყოს მიღწევადი, შესაბამისად, მისი შესრულება უნდა იყოს შესაძლებელი. მიზნები და აქტივობები უნდა იყოს რეალისტური, რაც გულისხმობს, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელი უნდა იყოს მათი განხორციელება, ასევე უნდა იყოს დროში გაწერილი, უნდა არსებობდეს აქტივობების შესრულებისა და მიზნის მიღწევისთვის დადგენილი ვადა, ე.წ. „დედლაინი". ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიზნებისა და ამოცანების შეფასების ინდიკატორები შესაძლოა ზომავდეს მხოლოდ ცალკეული აქტივობის შესრულებას (შესრულების ინდიკატორები), ასევე შესაძლოა იყოს ზეგავლენის ან გამოსავლის ინდიკატორები, რაც აჩვენებს რამდენად იქნა მიღწეული სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული მიზანი. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნას ცალკეულ აქტივობასა და მიზნის მიღწევაზე პასუხისმგებელი უწყება, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს აქტივობის დაფინანსების წყარო. გეგმები უნდა აკმაყოფილებდეს S.M.A.R.T. ინდიკატორების ხუთივე პირობას.

სამწუხაროდ, არსებული სამოქმედო გეგმები უმეტესად ვერ აკმაყოფილებს მითითებულ მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში, მიზნები ძალიან ზოგადია, არ არის კონკრეტულად ჩამოყალიბებული და ფორმულირებული, არ არის მითითებული არც ბენეფიციართა რაოდენობა, რომლის დაფარვაც ჩაითვლებოდა მიზნის მიღწევად, უმეტესად რესურსების წყარო და ოდენობა არ არის მითითებული, საჭირო ბიუჯეტი ცალსახად განსაზღვრული არ არის.

ასევე ინდიკატორის სახით, მხოლოდ ბენეფიციართა ან გარემონტებული, აღჭურვილი დაწესებულებების რაოდენობის დათვლა ვერ ზომავს მიზნის მიღწევას, ეს მხოლოდ ცალკეული საქმიანობის შესრულებაზე მიუთითებს, ხოლო ამ აქტივობის ზეგავლენა მიზნის მიღწევაზე მხოლოდ ამ მონაცემით ვერ იქნება შეფასებული. იმისათვის, რომ ზეგავლენის შეფასება მოხდეს, მნიშვნელოვანია დეტალურად იქნეს განსაზღვრული, როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორის გამოთვლა. პოლიტიკის შეფასებისათვის არ არის საკმარისი დიქოტომური პასუხების გაცემა (მაგ. გადამზადებულ გერემონტებულ დაწესებულებათა რაოდენობა), არამედ, არსებული კანონების/პოლიტიკის შეფასებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სთეიქჰოლდერთა მოსაზრებები/აღქმა.[62] აღნიშნული გამოთვლით, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ განხორციელებული საქმიანობა მხოლოდ მცირე კომპონენტს წარმოადგენს და ამის ასახვა არ იძენდეს სტრატეგიულ მნიშვნელობას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მიკუთვნებულობის განსაზღვრა, კერძოდ, რამდენად შესაძლოა მიზნის მიღწევა მივაკუთვნოთ სწორედ ცალკეული აქტივობის განხორციელებას, მაგალითად, რამდენად განაპირობა მსჯავრდებულთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ცალკეული დაწესებულების აღჭურვამ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გეგმაში უმეტესად საერთოდ არ არის მოცემული აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების წყარო, რაც თავიდანვე ეჭვქვეშ აყენებს მიზნის მიღწევას და აჩენს კითხვას რამდენად მიღწევადი და რეალისტურია მოცემული მიზანი, თუ აქტივობა.

ძირითადად სტრუქტურის კუთხით, ოპტიმალური ინდიკატორების მოძებნა როგორც ადამიანის უფლებათა, ისე სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმაში რთულია. ძირითადად ყველა ამოცანისა და აქტივობისთვის გამოყენებულ ინდიკატორებს ახასიათებთ ზემოთ მითითებულ მაგალითებში აღწერილი ხარვეზები.

62 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის მონიტორინგის სახელმძღვანელო (GCRT).

12. შესრულების შედეგები

რაც შეეხება გეგმების შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო გეგმისა და სისხლის სამართლის რეფორმის გეგმის შესრულების ანგარიშებში უმეტესად ცალკეული საქმიანობების შესრულების სტატუსი განსაზღვრულია როგორც შესრულებული, ან ნაწილობრივ შესრულებული. თუმცა თუ ისევ ინდიკატორებთან დაკავშირებით განვიხილავთ თითოეულ აქტივობას, არსებული ინდიკატორების პირობებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია მათი შესრულების შეფასება განხორციელდეს, მით უფრო მათი ზეგავლენის გაზომვა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით პენიტენციურ რეფორმაზე ზეგავლენის კუთხით.

უმეტესად ანგარიშებში გადმოცემული ინფორმაცია ეხება ცალკეული საქმიანობების შესრულებას და ბოლომდე არც ამის შეფასებაა შესაძლებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში თითოეულ მიზანს რამდენიმე აქტივობა უკავშირდება, თუმცა შეფასების იდნიკატორები მოცემულია მხოლოდ ნაწილზე და ფაქტობრივად ანგარიშში ყველა მიმართულების შესრულებაზე ინფორმაცია ასახული არ არის.

კვლევის ფარგლებში, შესრულების შეფასების ერთადერთ წყაროს სწორედ სისხლის სამართლის რეფორმის სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრეს ანგარიშები და სახალხო დამცველის ანგარიშები წარმოადგენდა, რადგან დამატებით გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე სამინისტრომ უარი განაცხადა.

13. რეკომენდაციები

- ყველა მსჯავრდებული და ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართით;
- ბრალდებულებისთვის გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართი გაუთანაბრდეს მსჯავრდებულებისთვის გათვალისწინებული მინიმალური საცხოვრებელი ფართის ოდენობას;
- პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებისას, გათვალისწინებული იყოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ახლობლების საცხოვრებელი ადგილი;
- ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას ბუნებრივი და ხელოვნური განათებისა და ვენტილაციის საკითხების მოგვარება;
- ყველა დაწესებულებაში მოიხსნას გადატვირთულობის პრობლემა;
- ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა;
- ყველა დაწესებულებაში მოეწყოს სასეირნო ეზოები, რომლებიც ადაპტირებული იქნება ცუდ ამინდში სუფთა ჰაერზე გასვლისთვის და ფიზიკური ვარჯიშისთვის;
- მიღებულ იქნას ზომები, რათა ხანმოკლე შეხვედრები განხორციელდეს მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;
- ინფრასტრუქტურაში არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, განხორციელდეს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი დაწესებულებების მშენებლობა დაიგეგმოს მხოლოდ საჭიროებათა დეტალური შესწავლისა და ხარჯთეფექტურობის შეფასების შემდეგ;
- სამოქმედო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნას S.M.A.R.T. პრინციპი, ინდიკატორები და ამოცანები იყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში გაწერილი;
- თითოეული აქტივობისთვის გაწერილი იყოს მისი შესრულებისთვის საჭირო ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტი, დონორების მიერ გამოყოფილი თანხები, სხვა წყაროები);
- სამოქმედო გეგმაში ასახული იყოს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებსაც შეუძლიათ რეალური ზეგავლენა მოახდინონ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე, შესაბამისად, მიზანშეწონილია ინდიკატორები ზომავდეს არა მხოლოდ საქმიანობების/აქტივობების შედეგებს, არამედ მათ ზეგავლენას მთელ სისტემაზე;
- გეგმაში მოცემული უნდა იყოს ინდიკატორის გამოთვლის დეტალური ფორმულა, რათა რეალურად გაიზომოს სამიზნე ჯგუფზე საქმიანობის ზეგავლენა;
- მნიშვნელოვანია თითოეული წლის გეგმა გამომდინარეობდეს იმ წლის საჭიროებებიდან და არ წარმოადგენდეს წინა წლის გეგმის მექანიკურ გაგრძელებას.

Penal Reform International
South Caucasus Regional Office
Address: Chavchavadze ave, 1st lane, block #6,
entr III, floor II, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
Phone: + 995 32 237 02 70

penalreform.org

Penal Reform International South Caucasus Regional Office

Penal Reform International
South Caucasus Regional Office
Address: Chavchavadze ave, 1st lane, block #6,
entr III, floor II, apt. 61
0179, Tbilisi, Georgia
Phone: + 995 32 237 02 70

Penal Reform International South Caucasus Regional Office

penalreform.org